ს/ც
1974
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

ნოემბერი
№ 11 1974 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ჰონეკერი ლ. ი. ბრეჟნევს გადასცემს კარლ მარქსის ორდენს.

მთელი მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავი.

გერმანელი ხალხის ამ საყოველთაო-სახალხო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან ბერლინში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

6 ოქტომბერს ნიდერშენჰაუზენის სასახლეში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ჰონეკერმა გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — კარლ მარქსის ორდენი.

იმავე დღეს ბერლინში, ვერნერ ზეელენბინდერის სახელობის დარბაზში გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ჰონეკერმა.

საზეიმო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, შეკრებილნი მას ფეხზე ამდგარნი, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

6 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით გვირგვინით შეამკო ფაშიზმისა და მილიტარიზმის მსხვერპლთა ძეგლი უნტერ დენ ლინდენის ქუჩაზე.

7 ოქტომბერს გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სახალხო პარადი.

იმავე დღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ, მინისტრთა საბჭომ და ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ დარბაზობა გამართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავის გამო.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართულმა საყოველთაო-სახალხო ზეიმმა ერთხელ კიდევ ნათელყო თუ როგორ გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რაოდენ მტკიცე და ურღვევია საბჭოთა კავშირთან და სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან მისი ძმური მეგობრობა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 11 (455) ნოემბერი, 1974 წ.

გამოცემის წელი 51-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1974



მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
კორექტორი ტ. თაბორიძე





არქიტექტურულ-მხატვრული სახის ერთიანობით გამოირჩევა დრეზდენის ახალი სავაჭ
საზოგადოებრივი ცენტრი პრაგერ შტრასე.



გდრ-ის დედაქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური პროსპექტი, კარლ მარქს-ალეე კარგად მოხატავს ახალი ბერლინის არქიტექტურულ სახეს.

# ზეიმის წინ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავთან დაკავშირებით, ზეიმის წინ ბერლინსა და სხვა ქალაქებში იმყოფებოდა ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცია საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის ნ. ჯანბერიძისა და უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის ა. ელენტის შემადგენლობით.

ეს რამდენიმე ფოტო გადაიღო და რედაქციას გადმოსცა ნ. ჯანბერიძემ.

ზემოთ: ბერლინის ცენტრალური მოედნის ალექსანდერ-პლაცის გაშლილ სივრცეს ერთი მხრიდან მოზაიკის ფართო სარტყლით გარშემორტყმული მასწავლებლის სახლი საზღვრავს.

ქვემოთ: წინასადღესასწაულო დღეებში ქალაქების ქუჩები და მოედნები მხატვრული დახადგარებით მოირთო.






გასული საუკუნეების ქალაქ კემრიცისაგან არაფერი შემორჩა. ახლა თვალს ხიბლავს ახალი სამრეწველო ცენტრი კარლ მარქს-შტადტი.



# 30 წელი სოციალის-ტური გზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულგარელმა ხალხმა საყოველთაო ზეიმის ვითარებაში აღნიშნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 30 წლისთავი.

ოცდაათი წლის წინ უკრაინის მესამე ფრონტის მებრძოლებმა გააფთრებული ბრძოლებით გადალახეს დუნაი და ბულგარეთის განაწამებ მიწა-წყალზე შედგეს ფეხი.

საბჭოთა არმიის დახმარებაზე დაყრდნობით, თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბულგარელმა ხალხმა საბოლოოდ დაამსხვრია მონობის მძიმე უღელი. 1944 წლის 9 სექტემბერს ბულგარეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალი, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების ერა დაიწყო.





სოციალისტურმა ბულგარეთმა უმოკლეს ხანში არნახულ წარმატებებს მიაღწია. ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყნიდან ბულგარეთი მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაიქცა.

ბულგარეთის მრეწველობა ახლა 6 დღეში იმდენ პროდუქციას იძლევა, რამდენიც გამოშვებული იქნა მთელს 1939 წელს. რესპუბლიკაში ყოველწლიურად აწარმოებენ 22 მილიარდზე მეტ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. 1973 წელს 1948 წელთან შედარებით ფოლადის წარმოება გაიზარდა 449-ჯერ. სწრაფად ვითარდება მანქანათმშენებლობა, ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკა, გემთმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა...

1939 წელთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო წარმოება ბულგარეთში 2,5-ჯერ გაიზარდა. კოოპერაციულ მინდვრებზე ამჟამად მუშაობს 110 ათასზე მეტი ტრაქტორი და 20 ათასამდე კომბაინი.

1970 წელთან შედარებით ეროვნული შემოსავალი 1973 წელს 25 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 1939 წელთან შედარებით 7-ჯერ და უფრო მეტად.

გაიფურჩქნა და აყვავდა მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება. ბულგარეთში აშენდა მილიონ ნახევრამდე საცხოვრებელი ბინა, ყოველ 10 ათას კაცზე ბულგარეთში მოდის 23 ექიმი, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 103 ათასი სტუდენტი — თითქმის 10-ჯერ მეტი, ვიდრე ფაშიზმის უღლისაგან განთავისუფლებამდე სწავლობდა.

აი, ასეთი მიღწევებით შეეგება ბულგარელი ხალხი თავის ეროვნულ დღესასწაულს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 30 წლისთავის სახალხო-საყოველთაო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად 7 სექტემბერს სოფიაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ლიაშკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე არმიის გენერალი ნ. ვ. ოგარკოვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ნ. ბაზოვსკი.

სოფიაში გამართულმა ზეიმმა კვლავ დამაჯერებლად ცხადყო, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განუხრელად იარონ წინ თავიანთი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალისტური მშენებლობის გზით, კვლავაც გაუფრთხილდნენ საბჭოთა კავშირთან ურღვევ და მარადიულ მეგობრობას, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად დაუცხრომლად იბრძოლონ მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად.









მეკოპეთა ბრიგადირი გიორგი კურტანიძე (მარცხნივ) ესაუბრება თავის ბრიგადის წევრებს.



მეყალიბე სიმონ ჩოხელი.

# მუშური გული

ფოტო შ. ჩხეტიანისა

იმ ღამეს აღარ წვიმდა და ილო ჩოხელს ძალიან მოუნდა სოფელში წასვლა.

— სიმონ, მოდი ხვალ შინ წავიდეთ, ჩვენები მოვინახულოთ, — უთხრა მან თავის უფროს ძმას, როცა ცვლის დამთავრების შემდეგ ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ეზოდან გამოდიოდნენ.

ილო ჩოხელი კარგ ხასიათზე იყო. ცვლის დავალება 120 პროცენტით გაანაღდა. სიმონს კი უგუნებობა ეტყობოდა. უფროსი ძმა ილოს იშვიათად უნახავს ასე მოწყენილი.

— რა მოხდა, ბიჭო, — მორიდებით წამოიწყო ილომ, — სერგო კუპრაძის ბრიგადის გამარჯვება კანონზომიერია. ათი კაციდან ექვსი კომუნისტი ჰყავს ბრიგადაში... ექვსივე გამოცდილი მეყალიბეა. თქვენ კი ლუკა რომ გაკლდათ?! კაცო, უბრიგადიროდ იმუშავეთ, მაინც მეორე ადგილი აიღეთ და ეს ცოტაა?!

— ცოტაა! — კუშტად მიუგო ძმამ, — ჩვენი ბრიგადირი რომ ავად გახდა, უფრო მეტად უნდა გვემარჯვა. გამოვა და რას ნახავს, პირველობა სხვებს დავუთმეთ...

— მცირე ფორმებს ამზადებდნენ? — იკითხა ილომ.

— არა, ხრახნმჭრელი ჩარხების ორტონიან დგანებს აკეთებდნენ კიროველი ჩარხმშენებლებისათვის. დიდი დეტალებია და ფორმებიც დიდი აქვთ მოსამზადებელი.

— ცვლაში თოთხმეტ დგანს აკეთებენ არა? — აღარ ეშვებოდა დაინტერესებული ილო ძმას.

— ჰო, ასეა, — კვერი დაუკრა სიმონმა, — ნორმა თორმეტია, მაგრამ თოთხმეტს ასწრებენ... ამ თვეში კი ყოველ ცვლაში თხუთმეტ-თხუთმეტი დააყალიბეს... მოკლედ, გვაჯობეს და ეგაა!

ერთხანს მდუმარედ მიაბიჯებდნენ. ბოლოს ილომ დაარღვია სიჩუმე.

— იცი რა, მეყალიბეობა ისეთი საქმეა, რომ ზოგჯერ ვერც გაიგებ ვინ ვის აჯობა. მოგცემენ ჩარხის ან რომელიმე დანადგარის უზარმაზარი დეტალის ნახაზებს და მთელი დღე უკირკიტებ, რომ ამ დეტალის ფორმა კოპების ათასნაირი წახნაგებით მიიღო. ძნელია, ძალიან ძნელია! მეორეს კი შედარებით ადვილი დეტალი შეხვდება და შეიძლება გაგასწროს...

— მართალს ამბობ, — ისევ დაუკრა კვერი სიმონმა ძმას, — ჩვენი ბრიგადა მთელი თვე ელმავლების ისეთი რთული კვანძის საყრდენ დეტალებს ამზადებდა, რომლებსაც უამრავი წახნაგი აქვს. ფორმაში ათობით კოპი უნდა ჩააწყო, ვარსკვლავივით უამრავი ქიმი უნდა გაუკეთო... ძალიან დიდი სიზუსტეა საჭირო... სიმართლე გითხრა, გაგვიჭირდა. ჩვენი ქარხანა, ხომ იცი, ოთხმოც საწარმოს აწვდის სხმულ დეტალებს, ყველა შეკვეთა უნაკლოდ დაგვიმზადებია, მაგრამ ასე არასოდეს არ გაგვძნელებია სამუშაოს შესრულება... არა უშავს, ეხლა დავძლიეთ. მომავალი თვე წინ არის... ვნახოთ თვის ბოლოს ვინ იქნება პირველი, ჩვენ თუ სერგო კუპრაძის ბრიგადა!

— ვნახოთ! — წაქეზებით გაუღიმა ილომ.

• • •

სიმონ ჩოხელმა ქარხანაში მოსვლისთანავე პირველი „ნათლობა“ სერგო კუპრაძესთან მიიღო.

ეს იყო ამ შვიდიოდე წლის წინ. ახალბედა მუშა გამოცდილ მეყალიბეს სერგო კუპრაძეს წარუდგინეს, გააცნეს და მოკლედ უთხრეს:

— დაამუშავე!

ვეტერან მეყალიბეს, ეტყობა, თავიდანვე მოეწონა ეს ბიჭი. გაუღიმა, მხარზე ხელი მოუთათუნა და მშვიდი ხმით წამოიწყო:

— ეს ქარხანა ჩემს თვალწინ გაიზარდა და დავაჟკაცდა. პირველად მხოლოდ რამდენიმე ტონა სხმულებს ვუშვებდით. ახლა ასობით ტონა ფოლადისა და თუჯის პირველხარისხოვან სხმულებს ვამზადებთ: ქარხანამ საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ეს სახელი კი თავისთავად როდი მოსულა! მთელი კოლექტივის თავდადებულმა შრომამ მოუპოვა იგი... დიდი შრომა და ჯაფა დაგჭირდება. საქმეს ერთგულება უყვარს. ახლა არჩევანი შენზეა: გინდა დარჩი, გინდა... თუ დარჩები, იცოდე, სიტყვა არ უნდა გატეხო — საქმე შუა გზაზე არ უნდა მიატოვო. საქმის ბოლომდე მიყვანა ჩვენი კანონია! თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ!

სიმონ ჩოხელმა მალე თავისი ძმაც მოიყვანა ქარხანაში. ბიჭები თავდადებით შრომობდნენ. რა საქმესაც ხელს მოჰკიდებდნენ, ბოლომდე მიჰყავდათ და აკი კოლექტივში საერთო სიყვარული და მოწონება დაიმსახურეს.

მერე საქმემ, ქარხნის ინტერესმა მოითხოვა და სიმონი სერგო კუპრაძის ბრიგადიდან ლუკა წიკლაურის ბრიგადაში გადაიყვანეს.

— ჩემი აღზრდილი შეგირდის მოსვლამ გიშველა, — ღიმილით ეუბნებოდა ხოლმე სერგო ლუკას, — მაჯობებთ, აბა რა, რაც დარჩეული ბიჭები იყვნენ, ახლა შენთან არიან!.. სიმონ ჩოხელმა კი ისე ისახელა თავი, ღირსია, პარტიის რიგებში მივიღოთ.

• • •

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, რომელიც ფოლადისა და თუჯის ურთულესი სხმულებით ამარაგებს სხვადასხვა საწარმოებს, როგორც იტყვიან, მარტო თავის თავს არ ეკუთვნის. ქარხნის რიტმულ, მოქნილ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული დამკვეთი ქარხნების მიერ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, გეგმების დროულად განაღდება.

ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანას იმ დღეებში სასწრაფო დაკვეთა ჰქონდა მიღებული თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნიდან. ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოს სასწრაფოდ სჭირდებოდა სხვადასხვა სხმულები. ბიჭები თავდადებით შრომობდნენ. სხვანაირად როგორ შეიძლებოდა, მათ ნახელავს ხომ მოუთმენლად ელოდებოდნენ კიროვის ქარხანაში!

ის-ის იყო მექანიკოსი ომარ შალამბერიძე დილის ცვლაში მორიგეობას შეუდგა, რომ ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ! — მშვიდად ჩაილაპარაკა ყურმილში ომარმა, მაგრამ მაშინვე დაიძაბა, როცა სერგო კუპრაძის შეშფოთებული ხმა მოესმა, — ახლავე მოვდივარ. სარემონტო ბრიგადას გამოუძახეთ.

მექანიკოსი სირბილით გაეშურა № 2 თუჯის სამსხმელო საამქროსაკენ. მან უკვე იცოდა, რომ საამქროში რაღაც დიდი ავარია მოხდა.

• • •

მეყალიბე თამაზ ჭყოიძემ საყალიბე მანქანა ჩართო და მუშაობას შეუდგა. მარჯვნივ ბრიგადირი სერგო კუპრაძე მუშაობდა, მარცხნივ ალექსი გენგიურის, გაიოზ თიგიშვილისა და გულად გელაშვილის მანქანები გუგუნებდნენ.

თამაზმა საყალიბე მანქანის მაგიდა დააყირავა და ის-ის იყო დგანის ფორმა ძირს უნდა დაეცურებინა, რომ უცბად მანქანის მაგიდა მუხლანა ღერძზე შექანდა, თამაზმა მისი დაჭერა ველარ შეძლო და მძიმე მასამ მთლიანად ჩალეწა საყრდენები.

ბიჭები თამაზ ჭყოიძეს ეცნენ. ბრიგადირმა სერგო კუპრაძემ მაშინვე გამორთო მანქანა და თამაზთან მიირბინა.

— ჰა, როგორ ხარ? — შეშფოთებით იკითხა მან, — ხომ არაფერი დაიშავე?

როცა დარწმუნდა, რომ ბიჭს არაფერი უჭირდა, მანქანის ქვეშ შეძვრა, ყველაფერი გულდასმით დაათვალიერა.

— ცუდად არის საქმე, — თქვა ბოლოს ბრიგადირმა, — საყრდენები მთლიანად დამსხვრეულია!

იმავე წუთს საამქროში დაფეთებული ომარ შალამბერიძე შემოვარდა. მას გამჩარხავი ვიქტორ ცეცხლაძე, ზეინკალი დიმიტრი კობახი, მექანიკოსი მიხეილ პომოგაევი მოჰყვნენ.



რამდენიმე წუთში უკვე ადგილზე იყვნენ ადგილობრივი სარემონტო ბრიგადის წევრებიც.

მალე გამოირკვა, რომ საყრდენები მთლიანად დალეწილიყო. საჭირო იყო საყრდენი დეტალების ნახაზების გაკეთება, მოდელის დამზადება, მერე კი მათი გამოჩარხვა.

— რამდენიმე დღის ამბავია! — ჩაილაპარაკა დაღვრემილმა მიხეილ პომოგაევმა.

ყველა შეფიქრიანდა. ქარხანას გეგმების შესრულება უვარდებოდა. კიროველთა სასწრაფო შეკვეთის შესრულებას საფრთხე დაემუქრა.

— უნდა გავაკეთოთ!.. მთელი ღამე ვიმუშაოთ და გავაკეთოთ!... დილის ცვლას მანქანა გამართული უნდა დავახვედროთ! — მტკიცედ თქვა შიგამჩარხავმა კომუნისტმა ვიქტორ ცეცხლაძემ. კოლეგებმა მაშინვე აუბეს მხარი. ადგილობრივი სარემონტო ბრიგადის წევრები დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს.

საამქროში მეყალიბეთა მუშაობა შეჩერდა.

• • •

— წადით შინ, დაისვენეთ, როცა საამქროში მუშაობის განახლება შესაძლებელი გახდება, გამოგიძახებთ, — უთხრეს მეყალიბეთა ბრიგადირს სერგო კუპრაძეს.

— ბიჭებო, — ბრიგადირმა ჩაახველა და გასუსულ ბიჭებს შეავლო თვალი, — შინ წავიდეთ თუ მეკოპეებს მივეხმაროთ? ჩვენ ხომ ცოტ-ცოტა მეკოპეობაც ვიცით...

ორიოდე წუთის შემდეგ სერგო კუპრაძის ბრიგადა თავზე წაადგა საქმეში გართულ მეკოპეთა ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გიორგი კურტანიძეს.

როცა მათი მისვლის მიზეზი გაიგო, გიორგიმ გაიღიმა და ახალბედა მეკოპეებს მაშინვე მიუჩინა საქმე: უზარმაზარ საამქროში მიმოფანტული მრავალწახნაგა კოპების შეკვრა, დახარისხება და ნახაზების მიხედვით დაწყობა დაავალა.

კუპრაძის ბრიგადა გაორკეცებული ენერგიით შრომობდა. თავის გამოჩენა უნდოდა სახელოვან მეკოპესთან. გიორგი კურტანიძე ხომ მათთვის კაცური კაცობის განსახიერება იყო — შრომაშიც, საზოგადოებრივ საქმიანობაში, მეგობრობაშიც.

გიორგი კურტანიძის ბრიგადამ, როგორც ცნობილია, ვალდებულება აიღო მეცხრე ხუთწლედის დავალება სამ წელიწადში შეესრულებინა. ბიჭებმა სიტყვა საქმედ აქციეს. ისინი ახლა 1976 წლის ანგარიშში შრომობენ. ასეთი სახელოვანი კოლექტივის წევრებთან შრომა კი სერგო კუპრაძის ბრიგადის წევრებისათვის სახალისო და საამაყო იყო.

— სერგო, რა იქნება, რომ ყოველი ცვლა თითო საათით გვიან დავამთავროთ? — თქვა გიორგიმ, როცა შეისვენეს, — ქარხანას სასწრაფო შეკვეთები აქვს... მოდით, თქვენი და ჩვენი ბრიგადის კომუნისტებმა გამოვიჩინოთ ეს ინიციატივა. სამუშაოს მეტი დავრჩეთ და მეორე დღისთვის მოვამზადოთ უბანი... ასეთი მეთოდით შრომა დიდ დახმარებას გაგვიწევს. ჰა, რას იტყვით?

— დავფიქრდებით, — მიუგო სერგო კუპრაძემ, — ყველაფერს მოვითათბირებთ. ასეთ საქმეში საერთო თანხმობაა საჭირო.

მეყალიბეები მეკოპეებთან მუშაობას საღამოს 6 საათზე მორჩნენ და თავიანთ საამქროს მიაშურეს.

მექანიკოსები ოფლში გაღვრილიყვნენ. საქმიანად დატრიალებდნენ მანქანასთან.

— დეტალები უკვე გამოვჩარხეთ, მალევე მივუყენებთ, — უთხრა ბიჭებს ომარ შალამბერიძემ და მაშინვე დასძინა, — ხედავთ, რა შეუძლია მონდომებას. ორი დღის საქმე გავაკეთეთ, ორი დღის!..

იმ ღამეს სერგო კუპრაძის ბრიგადა გვიანობამდე დარჩა ქარხანაში. როგორც კი საამქროში მუშაობა შესაძლებელი გახდა, ბიჭები მაშინვე შეწყვეტილ სამუშაოს მიუბრუნდნენ.

რამდენიმე საათის შემდეგ საამქროს მზა დეტალების უბანზე უკვე ეწყო ჩარხების 17 დგანი.

ამ დგანებს კი მეორე დღეს მოუთმენლად ელოდებოდნენ კიროველი ჩარხმშენებლები.

• • •

სანამ ღია პარტიული კრება დაიწყებოდა, ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ჯემალ მანჯგალაძემ გიორგი კურტანიძე და სერგო კუპრაძე იხმო.

— დარწმუნებულნი ხართ, რომ კოლექტივი მხარს დაუჭერს თქვენს წინადადებას?

— ეს კრებაზე გამოჩნდება, — ჩაურთო ქარხნის დირექტორმა თამაზ პაიჭაძემ, — წავიდეთ, ნულარ ვაგვიანებთ.

როცა პარტიული კომიტეტის მდივანმა შესავალი სიტყვა დაამთავრა და დამსწრეთ გიორგი კურტანიძისა და სერგო კუპრაძის ბრიგადების ინიციატივა გააცნო, დარბაზში სიმონ ჩოხელის ხმა გაისმა. იგი სიტყვას ითხოვდა.

— ჩემი გაზრდილია, ვიცი, რასაც იტყვის! — შვებით ამოისუნთქა სერგო კუპრაძემ. ჩოხელი კი ჩვეული სიდინჯით ლაპარაკობდა:

— ცხადია, ძალით ვერავინ გვაიძულებს ზედმეტ შრომას, მაგრამ როცა ქარხანას უჭირს, როცა საერთო საქმისათვის საჭიროა, ამას ჩვენი კომუნისტური შეგნებით უნდა ვაკეთებდეთ. აბა გაიხსენეთ ვიქტორის ბრიგადის მაგალითი...

ეს მაგალითი მართლაც საგულისხმო იყო.

ამას წინათ ღამის ცვლაში უეცრად გაწყდა ელევატორის ლენტი. რამდენიმე საამქროში შეფერხდა დილის ცვლისათვის საჭირო მშრალი ქვიშის მიწოდება. ავარია სასწრაფოდ უნდა აღმოეფხვრათ. მექანიკოს ვიქტორ ხლისტოვის ბრიგადას სამუშაო უკვე დამთავრებული ჰქონდა, მაგრამ შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ მივიდა ბრიგადის ყველა წევრი.

ვახტანგ სვანიძემ, ვიქტორ ტერლეცკიმ, ილო [illegible]ეტაშვილმა, ოთარ ეციაზაროვმა, არჩილ ნერსესოვმა მთელი ღამე იშრომეს. საქმეს დილის 5 საათზე მორჩნენ, მაგრამ დასვენება არ ისურვეს, ქარხანაში დარჩნენ და თავიანთი სამუშაო დღე გააგრძელეს...

ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კომუნისტებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გიორგი კურტანიძისა და სერგო კუპრაძის ბრიგადების ინიციატივას. კომუნისტებს მთელი კოლექტივი ამოუდგა მხარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთწლედის მეორე, განმსაზღვრელი წელი მთავრდება. ქარხნის კოლექტივი ახლა [illegible] ერთი აზრით არის განმსჭვალული — ღირსეული მიღწევებით შეეგებოს ახალ წელს. ყოველ უბანზე, ყოველ საამქროში სოციალისტური შეჯიბრებაა გაჩაღებული, ყველგან თავდადებით შრომობენ. ამ შრომის საფუძველი კი საერთო საქმისათვის, საერთო წარმატებებისათვის ზრუნვაა, ქარხნის სახელისა და ავტორიტეტისათვის ბრძოლაა.

მთავრდება სამუშაო დღე. ქარხნის ეზოში მუშები [illegible].

— ჰა, რას იტყვი, წავიდეთ სოფელში? —ეკითხება ჭიშკრისკენ მიმავალი ილო ჩოხელი უფროს ძმას.

— წავიდეთ! — თავს უქნევს სიმონი.

ძმები კმაყოფილები არიან. მთელი თვე კარგად იშრომეს და ღირსეული საზღაურიც მოიმკეს.

ლუკა წიკლაურის ბრიგადამ ამჯერად პირველი ადგილი დაიკავა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

— წავიდეთ, ჩვენები მოვინახულოთ... ჩვენი გამარჯვების ამბავიც გავაგებინოთ! — გულღიად შესძახა უფროსმა ძმამ ილოს.

რამინ მელიძე

ელმავლის კორპუსის სხმულის შემოწმება.



# შალვა დადიანი

## იცოცხლე, შალვა!

1924 წლის თოთხმეტ მაისს მოსკოვის საზოგადოებრიობამ და ვახტანგ მჭედლიშვილის თეატრალურმა სტუდიამ სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის შენობაში საზეიმო ვითარებაში აღნიშნა შალვა დადიანის სასცენო მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავი. საიუბილეო საღამოს ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო მოსკოვის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის დირექტორი ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი, მაგრამ მან იუბილარს მისალოცი წერილი გაუგზავნა, რომლის წაკითხვა დაავალა მსახიობ ქალს ალექსანდრა იაბლოჩკინას.

ალ.. სუმბათაშვილი-იუჟინის წერილის დედანი საქართველოს თეატრალურ მუზეუმში ინახება. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ მისალმებას.

დიდად პატივცემულო და გულით საყვარელო შალვა ნიკოლოზის ძევ!

რარიგ მტკივა გული, რარიგ ვწუხვარ როგორც ხელოვანი და როგორც ქართველი, რომ თქვენთან არ ვარ დღეს, როცა მოსკოვი და ჩვენი ქართული სათვისტომო აღნიშნავს თქვენს უაღრესად დიდ ღვაწლს, როგორც ჩვენი ეროვნული, ისე ზოგადსაკაცობრიო კულტურის წინაშე.

სულაც არ იქნება გაზვიადება, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჩვეულებრივი იუბილეებისათვის, რომ თქვენს იუბილეს ვუწოდოთ ფართე და უაღრესად ნიჭიერი მუშაობის დიდი შედეგების დღე. ამ მუშაობის დასაწყისი დაემთხვა ქართული თვითშეგნების იმ ეპოქას, როცა თქვენი წინამორბედების — ილიასა და აკაკის მცნებებით ხალხის გენიის ყველა დარგში — ლიტერატურის, სცენის, სახვითი ხელოვნების დარგებში სარბიელზე გამოვიდა ქართული აზრისა და ქართული შემოქმედების რაინდთა ბრწყინვალე არმია. მრავალტანჯული ქართველი ხალხის საუკუნოვანი ტრაგიკული ცხოვრების გამო მისმა თითქოსდა მიმქრალმა მხატვრულ-შემოქმედებითმა ძალამ, მანამდე რომ მხოლოდ სპორადიული გაბრწყინებით ვლინდებოდა, ახლა სულერთიანად გაცისკროვნა მშობლიური საქართველოს ლიტერატურული, სცენური და მხატვრული შემოქმედება, მძლავრად ააგიზგიზა იგი. და ამ დროს ერთ-ერთი უბრწყინვალესი აალება არის თქვენი შემოქმედება...

როგორც პოეტი და ჟამთაალმწერელი, როგორც დრამატურგი და მსახიობი, როგორც დამაარსებელი და ორგანიზატორი ქართული თეატრისა — საერთოდ და სპეციალურად ხალხური თეატრისა, თქვენ ქართული ეროვნულ-შემოქმედებითი მოძრაობის მებაირახტრეთა პირველ რიგებში ხართ. ყოველმხრით რომ დავახასიათოთ თქვენი მრავალფეროვანი მოღვაწეობა, რა თქმა უნდა, საჭიროა არა მოკლე მეგობრული მისალმება, არამედ თქვენი შესანიშნავი შრომების მრავალტომიანი ისტორიულ-მეცნიერული, კრიტიკული გაშუქება. მშობლიური ქართული კულტურის ისტორია მოვალეა ერთ-ერთი უპირველესი ადგილი დაუთმოს თქვენს მოღვაწეობას.

როგორც ქართველი, მადლიერებითა და აღტაცებით ვცემ თაყვანს თქვენს უდიდეს ღვაწლს ქართული ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში, ხოლო როგორც ხელოვანს არ შემიძლია არ გამოვთქვა გულწრფელი აღტაცება თქვენი ბრწყინვალე ტალანტისა და თქვენთა შთანაფიქრთა შემოქმედებითი წარმოსახვის ძალის გამო.

ვამაყობ და ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ამხანაგებმა, რუსული სცენის საუკეთესო საუნჯეთა საცავის — მცირე თეატრის მუშაკებმა დამავალეს გამომეთქვა თქვენი დიდი დამსახურების პატივისცემა და სრული აღიარება, რაც ვეცადე ჩამექსოვა ამ მოკლე მიმართვაში. ჩემი ამხანაგები, რომლებსაც უყვართ ძვირფასი საქართველო და დაკავშირებული არიან მასთან დაუვიწყარი მოგონებებით, ძმური სიყვარულით მიესალმებიან მას თქვენი სახით, კალმისა და სცენის შესანიშნავო ოსტატო, და ვფიქრობ, რომ აზრისა და ტალანტის დიადი თანამეგობრობის საუკეთესო დადასტურებაა ის, რომ ამ მისალმების წაკითხვა იკისრა ჩვენი მცირე თეატრის მსახიობთა კორპორაციის თავმჯდომარემ, დამსახურებულმა არტისტმა ალექსანდრა ალექსანდრეს ასულმა იაბლოჩკინამ, რომელიც ბოლომდე იტყვის ყოველივეს, რაც მე, ლოგინად ჩავარდნილმა, ვერ ვთქვი.

იცოცხლე, საქართველოვ!

იცოცხლე, შალვა!

შალვა დადიანი: — მამაჩემი სპარტანულად გვზრდიდა ბავშვებს. ჭამაშიდაც გარკვეული რეჟიმი უნდა დაგვეცვა: იჯრის გარეშე ბავშვებს აკრძალული გვქონდა საჭმელს მივკარებოდით. ვაშლი რა არის, ვაშლსაც ვერ შევჭამდით.

იქნებ ამასაც მიეწერება ჩემი ჯანმრთელობა.

საუბარი ფოიეში, „გედების ტბაზე“, 6.II.45 წ.

შალვა: — მე მუდამ ვცდილობდი ჩემს ნაწერებში ნაკლებად მეხმარა არქაიზმები. „გიორგი რუსში“ მე გამოვიყენე სიტყვა ჰუბუტი, რაც ნიშნავს პრესტიჟს. ეს სიტყვა ვიხმარე ისტორიული არომატის მისაცემად რომანისათვის.

არქაული სიტყვების სიუხვე ვნებს მხატვრულ ნაწარმოებს, მაგრამ ისტორიული ნაწარმოების მთლად გათანამედროვებაც არ ვარგა. აქ ზომასაც აქვს მნიშვნელობა, რაც ნიჭის საქმეა.

საუბარი ახალგ. მწერალთა კონფერენციაზე. 18.5.47 წ.

შალვა: — 1901-02 წლებში, ბათუმში ყოფნის დროს, ახალგაზრდა სტალინს მონაწილეობა მიუღია ქართულ წარმოდგენაში. მას საპოჟნიკის როლი უთამაშნია ვ. გუნიას კომედიაში „არც აქეთ — არც იქით“.

საუბარი კონფერენციის შემდეგ. 18.5.47 წ.

## ლევან ასათიანის უბის წიგნაკიდან

შალვა: — ერთ დროს თბილისში, ავჭალის აუდიტორიაში ვმუშაობდი. წარმოდგენებს ვდგამდი. შენობა პატარა იყო. სარდაფში გვიხდებოდა რეპეტიციების ჩატარება, აგრეთვე ტანისამოსის გამოცვლა, გრიმის გაკეთება და სხვა.

რეპეტიციების მომიზეზებით იმავე სარდაფში თურმე მუშები იკრიბებოდნენ, არალეგალური წრეების მეცადინეობა სწარმოებდა.

ერთხელ წარმოდგენის დაწყების წინ გამოირკვა, რომ ჩვენი სუფლიორი არ მოვიდა. ვაფრინეთ კაცი, ვერსად ვერ ვიპოვეთ. ჩავვარდით საგონებელში. წარმოდგენას ჩაშლა მოელოდა. ამ დროს ერთმა ახალგაზრდა კაცმა განაცხადა, რომ მას შეუძლია სუფლიორობა გასწიოს. ჩვენ სიხარულით დავთანხმდით. ის სწრაფად ჩაძვრა ბუტკაში და წარმოდგენა დავიწყეთ.

ასე გვისუფლიორა მან ბოლომდე.

ეს ამბავი და აგრეთვე იმ ახალგაზრდა უცნობის სუფლიორობა გამახსენა სულ რამდენიმე წლის წინად განსვენებულმა სანდრო ყალაბეგიშვილმა. ის აქტიორად იყო მაშინ ჩვენს დასში.

ის ახალგაზრდა კაცი თურმე კობა ყოფილა. სწორედ ის ხელმძღვანელობდა თურმე მუშათა არალეგალური წრის მეცადინეობას ავჭალის აუდიტორიაში.

18.5.47 წ.

შალვა: — ორდენების მისაღებად კრემლში რომ მივედით, ალ. ფადეევმა, — მწერალთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, მითხრა: სიტყვა უნდა წარმოსთქვათო.

დიდ დარბაზში უამრავი ხალხი იყო, ათასნაირი პროფესიის, სხვადასხვა ეროვნების.

ორდენებს კალინინი გვირიგებდა.

როცა დრო მოვიდა, მე გაველი სიტყვის სათქმელად. ჩოხა მეცვა. გადავხედე დამსწრეებს. ალმაცერად მომჩერებოდნენ, ალბათ ფიქრობდნენ, დაიწყებს ახლა ეს ვიღაც კავკასიელი, თავისი დამტვრეული რუსულით.

მე დავიწყე... სიტყვაში მოკლედ აღვნიშნე სადაური ვიყავ, რომელი ხალხის შვილი. მცირედ მიმოვიხილე წარსული ჩემი ხალხისა, მისი კულტურა, მისი ადამიანები...

გავათავე. მქუხარე ტაში ატყდა.

ვიღაც ოფიცრები შემომეხვიენ, ხელში ამიტაცეს. გაკვირვებული და აღტაცებულნი იყვნენ სიტყვით, რომელიც მე, მართლა მოულოდნელად, კარგი წმინდა რუსულით წარმოვსთქვი.

7 დეკ. 1945 წ.







ეროვნული ბიბლიოთეკა



- ლეო ქიაჩელი და შალვა დადიანი მოსკოვში 1939 წელს
- შალვა დადიანი 1934 წელს
- შალვა დადიანი და აკაკი ხორავა მოსკოვში
- შალვა დადიანი



საავადმყოფოს ექიმი
ალინა ბერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოტო შ. ჩხეტიანისა



ნ. ყიფშიძის სახელობის რეს-
პუბლიკური ცენტრალური კლი-
ნიკური საავადმყოფო



ზეიმი დიმიტრი გულიას მშობლიური სოფლის კლუბში.


ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შ. თათარაშვილი, დიმიტრი გულიას მეუღლე ე. ბჟალავა-გულია და სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი კ. სიმონოვი




# ძმობის ზეიმი

რამდენიმე დღეს გაგრძელდა საქართველოს დედაქალაქში აფხაზეთის კულტურის დღეები, თბილისს ეწვია აფხაზეთის მწერალთა, ხელოვანთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდი დელეგაცია. გულთბილად შეხვდნენ მზიური აფხაზეთის წარმომადგენლებს დედაქალაქის მშრომელნი. ეს შეხვედრები ხალხთა ლენინური ძმობისა და მეგობრობის ჭეშმარიტი გამოხატულება იყო. თბილისმა დიდი ზეიმით აღნიშნა აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას დაბადების 100 წლისთავი. საძირკველი ჩაეყარა აფხაზური მწერლობის ფუძემდებლის ძეგლს, გაიხსნა მემორიალური დაფა სახლზე, რომელშიც მწერალი ცხოვრობდა.

რუსთაველის თეატრში გაიმართა დ. გულიასადმი მიძღვნილი დიდი საღამო, ხოლო დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ დასკვნით საღამოზე აფხაზეთის ხელოვნების ოსტატებს დიდი წარმატება ხვდათ წილად.

ზეიმმა შემდეგ სოხუმში გადაინაცვლა.

მემორიალური დაფის გახსნაზე სახლთან თბილისში, რომელშიც ცხოვრობდა დიმიტრი გულია

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შ. თათარაშვილი დ. გულიას სახელობის პრემიის სამკერდე ნიშანს გადასცემს მწერლის ვაჟს — გიორგი გულიას. აქვე არიან საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობახია, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ქორქოლიანი და სხვ.



სოხუმში საიუბილეო დღეებში გაიხსნა დიმიტრი გულიასადმი მიძღვნილი სამხატვრო გამოფენა





სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა ადამიანების მძლავრ მოძრაობას ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, უფრო სრულად გამოიყენონ შეძენილი გამოცდილება, გაამჭიდროვონ თავიანთი საქმიანობა, იყვნენ მუდამ წინ, იყვნენ იქ, სადაც უფრო მეტი სიძნელეებია, მოახმარონ თავიანთი ცოდნა და უნარი ხალხს, ბრძოლას მისი ინტერესებისა და ბედნიერებისათვის!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

გელა ჯიქიძე ის-ის იყო ოთახიდან უნდა გამოსულიყო, რომ მეხუთე აგროგანყოფილების მმართველი კარებში შეეჩეხა. ჩაქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა საათს დახედა და ახლად მოსული კაბინეტში მიიწვია.

— საქმეზე მოვედი, — მშვიდად თქვა შალვა ნოზაძემ.

გელა დაჯდა და შალვას ჟესტით ანიშნა, თქვიო.

— კარტოგრამაში შეცდომაა! — დაიწყო შალვამ, — პლანტაციებს კალიუმი აკლია!.. კარტოგრამა კი ამბობს, კალიუმი საჭირო არ არისო.

— საიდან დაასკვენი, რომ აკლია? კი, ზოგიერთ ფართობზე ბუჩქები ყვითლდება, მაგრამ ამის მიზეზი, მე მგონი, სხვა რამ უნდა იყოს.

— ბუჩქების გაყვითლების მიზეზი უსასუქობაა! ჩვენ ამაზე მთელი კვირა ვფიქრობთ.

გელა ჩაფიქრდა, შალვა გამოცდილი აგრონომია და მისი მოსაზრება უთუოდ ანგარიშგასაწევი იყო.

პარტიული კომიტეტის მდივანს აგროგანყოფილებაში ელოდებოდნენ ღია პარტიულ კრებაზე, ჩქარობდა და მაშინ გარკვევით ვერაფერი თქვა.

მეორე დღეს კი გამოირკვა, რომ შალვა ნოზაძის აზრს სხვა კომუნისტებიც იზიარებდნენ. პარტიული კომიტეტის მდივანმა ჩაქვისწყლის ორივე ნაპირზე გაშლილი პლანტაციები ერთხელ კიდევ ფეხდაფეხ შემოიარა. გულდასმით დაათვალიერა ყველაფერი... ბუჩქებს სიყვითლე მოსძალებოდათ. ამ ფართობებზე შარშან ჰექტარზე 4,5 ტონა ჩაი მოკრიფეს, ადრე კი 5 ტონაზე მეტი მოსავალი მოჰყავდათ. პლანტაციებს მართლაც რაღაც უჭირდა. გელა ჯიქიძე საბჭოთა მეურნეობის მაშინდელ დირექტორთან მივიდა და თითქოს ისე, სხვათა შორის, იკითხა, ამ პლანტაციებს კალიუმი ხომ არ აკლიაო? დირექტორს სასაცილოდ არ ეყო მდივნის სიტყვები. არც მეურნეობის აგროქიმიური ლაბორატორიის გამგემ გაიზიარა ასეთი მოსაზრება.

შალვა ნოზაძე კი ჯიუტად იდგა თავის სიტყვაზე. მას მხარს უბამდნენ მუშები: ჯემალ აბაშიძე, ვალერი ქათამაძე, ბრიგადირი აშიკ პაპიკიანი და სხვა კომუნისტები.

საკითხი მართლაც რთული იყო. შალვა და მისი თანამოაზრე კომუნისტები მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამდნენ, ჩაის ბუჩქების სიყვითლე კი, როგორც დირექტორი და ლაბორატორიის გამგე ამტკიცებდნენ, შეიძლება მართლაც სხვა მიზეზით ყოფილიყო გამოწვეული.



ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტთა ჯგუფი კედლის გაზეთის ახალ ნომერს უშვებს.

ივერი ხონელიძე

# კომუნისტები

და აი, ეს საკითხი პარტიული კომიტეტის სხდომაზე განიხილეს.

მეურნეობის დირექტორს და აგროქიმიური ლაბორატორიის გამგეს დაევალათ, სხვა სპეციალისტებთან ერთად გულდასმით შეესწავლათ ბუჩქების სიყვითლის მიზეზი. აქვე გადაწყდა ისიც, რომ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალისათვის ეთხოვნათ, თავიანთი დასკვნა გამოეტანა ამ საკითხზე.

საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ღელავდა. ვაითუ შევცდით, ვაითუ ტყუილუბრალოდ ავტეხეთ ასეთი განგაში და ხალხი ამაოდ მოვაცდინეთ სამუშაოსო. მაგრამ იმის შეგნება, რომ დაკნინებულ პლანტაციებს სასწრაფოდ სჭირდებოდა შველა, ძალასა და რწმენას მატებდა გელა ჯიქიძეს.

საღამოს; როცა სამუშაო დამთავრდებოდა, პარტიული კომიტეტის მდივანი თავის კაბინეტში იკეტებოდა. ჯერ ფიქრში წავიდოდა, გულდასმით სწონიდა და აანალიზებდა თითოეულ დეტალს, მერე სეიფიდან პარტიული კომიტეტის სხდომებისა და კრებების ოქმებს ამოიღებდა, ერთხელ კიდევ გადაფურცლავდა, ერთხელ კიდევ გადაავლებდა თვალს.

ამ ოქმებში, ისე როგორც სარკეში, ნათლად ჩანდა საბჭოთა მეურნეობის მთელი პარტიული ორგანიზაციის მჩქეფარე ცხოვრება. პარტიული ორგანიზაცია კი 109 კომუნისტს ითვლიდა!

ერთხელ, მიხეილ სიორდიამ, შალვა ნოზაძემ, ასლან მესხიძემ და სხვებმა პარტიულ კომიტეტს წერილობით სთხოვეს განეხილათ ჩაის ბუჩქების მძიმე გასხვლის საკითხი. კალიუმის სასუქებისა არ იყოს, ეს წინადადებაც სადავო და საჭოჭმანო გახდა.

მძიმე გასხვლა დიდ დროსა და შრომას მოითხოვს. მაგრამ მთავარი ეს როდია, საქმე იმაშია, რომ ასეთი მეთოდით გასხვლის შემდეგ პლანტაცია 2-3 წელი მოსავალს აღარ იძლევა. გეგმას არავინ შეგიმცირებს, ჰოდა, ბიჭი ხარ, აბა ადექი და წადი ასეთ რისკზე?!

კომუნისტები წავიდნენ ასეთ რისკზე. დაბერებულ, დაკნინებულ პლანტა-



ჩაის პლანტაციაში.

ციას დროზე უნდა შველა, თუ ცოტა შორს იყურები, დროზევე უნდა გაახალგაზრდავო ისინი, რომ წელში მომაგრდნენ და უხვი მოსავლით გაგიხარონ გული.

ეს საკითხი პარტიულმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ განიხილა. იმსჯელეს, იდავეს, რა დასამალია, მაგრად შეხურდნენ კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. 35 ჰექტარზე ჩაის ბუჩქები ნიადაგის დონეზე გადაჭრეს. ეს ამბავი შარშანწინ მოხდა. ახლა ამ ფართობზე თითოეულ ჰექტარიდან საშუალოდ 5-6 ტონა მაღალხარისხოვან ჩაის ფოთოლს კრეფენ.

ფიქრებში წასული გელა ჯიქიძე ახლა სხვა ოქმს ათვალიერებს. მის გონებაში ისევ ნათლად ცოცხლდება არცთუ ისე დიდი ხნის ამბავი.

ვალერი ქათამაძე და ავთანდილ ტარიელაძე მოწინავე მუშები არიან. წლების მანძილზე უხმაუროდ, თავდადებით შრომობენ. ორივეს მრავალსულიანი ოჯახები ჰყავთ. აიყვანეს ბინით დაკმაყოფილების აღრიცხვაზე და ეს იყო და ეს! დრო გადიოდა, ვალერი და ავთანდილი არაფერს ამბობდნენ. აქაოდა არ გვაწუხებენო, ვერა და ვერ მოგვარდა მათი ბინებით დაკმაყოფილების საკითხი. საქმეში კომუნისტები ჩაერივნენ. მათმა პრინციპულობამ მალევე გამოიღო შედეგი: მოწინავე მუშების ვალერი ქათამაძისა და ავთანდილ ტარიელაძის ოჯახები ახლა კეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრობენ.

და განა მარტო ეს! სწორედ კომუნისტების პრინციპული მეცადინეობითა და უშუალო მონაწილეობით მოეწყო პლანტაციებში სასადილო, დაიწყო ახალი აბანოს მშენებლობა, გაუმჯობესდა მუშების საყოფაცხოვრებო მომსახურება...

ოქმის თვალიერებით გართულ გელა ჯიქიძეს ფიქრები კარზე დაკაკუნებამ შეაწყვეტინა.

კაბინეტში მეცამეტე ბრიგადის მუშა ნური ჩხაკურაძე შემოვიდა.

— მღუპავთ? სახალხოდ მჯაყავთ?! — წამოიწყო აღელვებულმა ნურიმ.

მდივანი მაშინვე მიხვდა ყველაფერს. გუშინ მეხუთე აგროგანყოფილების პარტიულ კრებაზე მწვავედ გააკრიტიკეს ამ განყოფილების მუშა ნური ჩხაკურაძე. უსაქმურობასთან ერთად იგი ხშირად ალკოჰოლურ სასმელებსაც ეტანებოდა ხოლმე. ნური ამხანაგებმა, მეზობლებმა, თანამოსაქმეებმა გააკრიტიკეს, პირში უთხრეს სათქმელი, დაუფარავად ამხილეს მისი დანაშაული.

როგორც ეტყობა, ამ სამართლიანმა კრიტიკამ გაჭრა, ნური ჩხაკურაძე უჩვეულოდ ჩანდა აღელვებული. „კარგია, რომ ასე განიცდის", გაიფიქრა მდივანმა და ხმამაღლა თქვა:

— ვაჟკაცი ხარ, ისე მოიქეცი, რომ მეგობრებთან ცხოვრებისა და შრომის ღირსი იყო!.. გააკეთე ეს და მერე ჩვენ ვიცით, როგორც დაგაფასებთ.

ნური ერთხანს მდუმარედ შესცქეროდა გელას. მის სახეზე ნათლად იგრძნობოდა რაღაც მტკიცე გადაწყვეტილების მიღება. მერე ალალად, გულღიად შესცინა მდივანს და უსიტყვოდ გავიდა კარში.

ის-ის იყო ნური გავიდა, რომ კაბინეტში ბიჭუნამ შემოყო თავი. შინ გეძახიან, ბიძია გელა, ვიღაც სტუმრები მოვიდნენო, ამცნო ბიჭუნამ.

უკვე შეღამებულიყო. მდივანმა ოქმები სეიფში ჩაკეტა და კარი გამოკეტა.

მეორე დილით გელა ჯიქიძე ისევ ამაოდ ელოდა ინსტიტუტის ფილიალიდან ცნობას. შალვა ნოზაძე დაიბარა, სთხოვა, დაინტერესებული პირი ხარ, ფილიალში შეიარე, დასკვნის გამოტანა დააჩქარებინეო. თვითონ კი ადგა და საბჭოთა მეურნეობის მაშინდელი დირექტორი და აგროქიმიური ლაბორატორიის გამგე მოინახულა.

— დასკვნის წარმოდგენის ვადა ხვალ იწურება, როგორ არის საქმე? — იკითხა გელამ.

დირექტორმა წინ უსიტყვოდ დაუდო სამ გვერდზე დაწერილი დასკვნა.

ეს დასკვნა გელასთვის აქამდე უკვე ნაცნობ მოსაზრებებს იმეორებდა. სამ გვერდზე ლოგიკური თანმიმდევრობით იყო აღნუსხული, რომ კარტოგრამაში შეცდომა დაუშვებელია, რომ ბუჩქების დაკნინებისა და სიყვითლის მიზეზი რაღაც სხვა საიდუმლოში იმალება, რომ ამ მიზეზს გულმოდგინე შესწავლა და აღმოჩენა სჭირდება...

პარტიული კომიტეტის სხდომის არც ერთი დადგენილების შესრულება ჯერ ასე არ გაჭიანურებულა.

დადგენილების შესრულება მეცნიერულ პასუხზე იყო დამოკიდებული. მეცნიერების საბოლოო პასუხი კი აგვიანებდა. ამ პასუხს ინსტიტუტის ფილიალიდან ელოდებოდნენ.

... წელს, აგვისტოში, ქობულეთის რაიონის ჩაქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. კოსიგინი ეწვია.

საპატიო სტუმარმა გულდასმით დაათვალიერა მეურნეობა, ინახულა პლანტაციები. საამოდ ხასხასებდნენ გამრჯე, შრომისმოყვარე ხელით გალაღებული ჩაის ბუჩქები. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალის მეცნიერ თანამშრომლებმა სწორი დიაგნოზი დაუსვეს გაყვითლებულ ბუჩქებს. ნიადაგი აღარ განიცდის კალიუმის შიმშილს. ყველა ჩაის ბუჩქს ისევ ამაყად გაუშლია მხრები.

საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ჰექტარზე რამდენ ტონა ჩაის კრეფენ ჩაქველები.

— საშუალოდ 5.200 კილოგრამს, — მიუგო შალვა ნოზაძემ.

ამხანაგი ა. კოსიგინი კმაყოფილი დარჩა საბჭოთა მეურნეობის მიღწევებით. ამ მიღწევებში კი, რა თქმა უნდა, ძალზე დიდი წვლილი მიუძღვით მეურნეობის კომუნისტებს, მათ თავკაცს გელა ჯიქიძეს, კოლექტივის ყველა წევრს.

# ლექსები

## დილარ ივარდავა

### კოლხური მიწის ფერს და სიმღერას

#### წინათქმა

აქ ახლა ვგავარ მდუმარე ლარჭემს —
ეს დამამუნჯა მშობლების კერამ,
აქ სიყვარულით ათასჯერ დამჭრეს,
ძნელია შენზე სიმღერის წერა.
აქ ფეხაკრეფით გარემოს ვზვერავ,
ვზვერავ და მინდა ჰანგიც გავკვალო,
ძნელია შენზე სიმღერის წერა,
ბავშვობის სევდავ, ჩემო აკვანო.
მოუქსოვიათ შრიალი ისლებს,
სიზმრებში ფეთქავს ყველა მირაჟი
და კაცობაში შევდივარ ისე,
ვით ელმავალი შედის გვირაბში.
სიყრმის ყივილი ერთობ მძაფრია,
ასე სამხრეთით მიფრინავს წერო —
ასეთ დროს კაცმა ბიოგრაფია
საკუთარ სისხლით ხომ უნდა წეროს.
აქ ძვირფასია ყოველი კენჭი,
ლოდის ზიდვაც კი თითქოს არ მღლიდა, —
ვცან იზაბელას დაჭრილი ლერწი,
ჟამს ბავშვობისას ცრემლებს რომ ღვრიდა.
აქ ყველაფერი ისე ახლოა —
მართლაც მწვერვალზე აფრენა მინდა.
გული — ცხენების საბალახოა,
წყარო — ცის ნამზე ათასჯერ წმინდა.
ცერზე დავისვი განსჯის მიმინო,
მზის მხურვალებით ბეჭები მეწვის, —
პირველყოფილო, ჩემო ღიმილო,
შენა ხარ ახლაც სინედლე ლერწმის.
ოქროდ ირეკლავს მზის სხივებს ცვარი,
ნისლს ფრთაზე იხვევს ასი ციცარი,
კოლხეთი — ჩემი სინაღდის ფარი,
ჩემი სიყრმე და თვალთა ისარი.
კოლხეთი — თრთოლა, წვა და გამხელა,
ელვარებს ჩემი ფიქრი ცინცხალი,
ტკივილი ჰქვია მუდამ სახელად —
შელეწა ტრფობამ გულის ფიცარი.
აქ ვინ ვარ ღმერთო, თავად განაგე,
აქ ყველაფერში ჩემი ღმერთია,
მამულო, შენთვის ძეგლი ავაგეთ,
საქართველო ხომ მარად ერთია.

### ტობავარჩხილთან თქმული

ტობავარჩხილთან, კორომის პირას,
კუნაპეტ ღამეს, მართლაცდა ბედზე,
ოდნავ შეეხო თითები ლირას
და ბგერის ნაცვლად თოვლისფერ გედებს
აშრიალებდნენ ჰანგები მიჯრით —
ღვთაებრივ ხატთა გავხდი მზირველი
და ვესწრებოდი მუსიკის მეჯლისს,
ვით მზის პირველ სხივს — კაცი პირველი.
ფოთოლთა თეფშებს ცვარ-ნამის გალა
ეპკურა, ვითარც ჩქერი მირონის
და მკლავდაკუნთულ დევების ძალად
თავს მადგა ჩრდილი კავკასიონის.
წვეთავდა ნამი ცაზე მაღალი,
უკვდავებაზე ასგზის უბრალო, —
(აქ მყინვარები დაფი-ნაღარით,
ვიცი ზაფხულში ენგურს უგალობს).
აქ ყველაფერი ისე ცხადია,
როგორც ხევების პირას ნაპრალი,
ანდა კერასთან ტკბილი გადია,
რომელიც შემდეგ ხდება ზღაპარი.
აქ ყველაფერი როგორ მათრობდა
და ლეგენდებში ვიყავ გარილი,
ვითარცა სარკე ციურ მნათობთა
ჯვართან იწვოდა ტობავარჩხილი —
ვინ შეურია მის ზვირთებს ლილა,
ან სინამდვილე ზღაპრებს და მითებს, —
ტობავარჩხილთან ღვთიური ლირა
კვლავ ელოდება გრძნეულთა თითებს.

•

ფოთოლცვენაა... ტირის გიტარა,
ნახევარმთვარეც აყვითლებს ჭალას, —
ვით წარმართულ დროს მსხვერპლის მიტანა —
ღამე ატმის სისხლს ვერა, ვერ მალავს.
ეს თავგანწირვა თუ საჭიროა,
ამოვხსნით ნეტავ? მგონი, ვერასდროს,
წვეთავს მზის სხივი ატმის ჭრილობას,
ფორთოხლის ტევრში კვნესის ერატო.
ღამეა ეს თუ ზღაპრის ბადეა
ო, ქალბატონო, ჩემთან ბრძანდებით,
და მთვარეც, თითქოს თქვენი ბაგეა,
გადაცრეცილი მკრთალი ლანდებით.
ტირის გიტარა იმ უბედობას,
რომელიც ერთ დროს დაიპნა ხმებად,
თუმცა ვეკრძალვი მე თქვენს დედობას,
მაგრამ ის ჟამი აროდეს ცვდება,
რომელიც ჩვენ ორს გვეკუთვნის მარტო
და ასე უცბად დამთავრდა რატომ?!
ახლა წარსული,
უკვე ქალბატონს,
ჩემსავით გაკრთობთ,
ჩემსავით, გატყობთ!
სილამაზეც ხომ გასრულდა ასე
და სანთლისფერი ღამე ილევა.
ტირის გიტარა კაეშნით სავსე:
— რა ვქნათო მაინც! —
აი, დილემა!

### მედეას გახსენება

ხომ ფხიზელია ქურციკთა არვე,
მოაქვთ მთოვარე — ოქროს ვერძი,
ღია ჭრილობად!
მზეგრძელი ჟამი! აწ ყოვლის მფარველს
და ჩემი ჰანგიც თუ საჭიროა!..
გამოვექეცი სამუმების პრეისტორიას,
მაგრამ გული ხომ ვულკანია,
ასე რომ კივის,
აქ სიყვარული თვით პლანეტის
ხნის და ტოლია,
წამით დაბრუნდა ხანა ახლა
იმ ცივი რკინის...
თუმც იჭრიალებს
სიყვარულის მკვრივი ბორბალი,
თუმც ისისინებს
მოწამლული ისრების ფარფლი,
თუმც იზანზარებს ელვა-ჭექა,
მეხის ბორზალი,
იმ იაზონის გემების აფრით.

# ამ ხნის მანძილზე





კასპის „ელექტროაპარატურის“ ქარხანაში აზბოცემენტის ფირების შესალებად ახალი კონვეიერი დაამონტაჟეს.

ტექნიკური სიახლის დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფირების ლებვის ხარისხი, დაზოგა დრო, გაზარდა შრომისნაყოფიერება.

ახალი კონვეიერი ქარხანას ყოველწლიურად 17.000 მანეთის ეკონომიას მისცემს.



უკანასკნელ ხანს სოხუმში აშენდა 60 კაპიტალური მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 4 საშუალო სკოლა, 10 საბავშვო ბაღი და ბაგა.

ქალაქში აღიმართა პედაგოგიური ინსტიტუტის, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ახალი კორპუსები. ზღვის პირას გაშენებული დიდი ტურისტული კომპლექსი მალე მიიღებს მოგზაურობის მოყვარულებს.



ჭიათურის ორჯონიკიძის სახელობის მადაროთსამმართველოს კოლექტივი შეფობას უწევს რგანისა და სარქველეთუბნის კოლმეურნეობებს. წელს ხორბლის დროულად აღებაში 150 მადაროელმა მიიღო მონაწილეობა. შეფები კოლმეურნეებს დაეხმარნენ გზების მოწყობაში, ელექტრო და რადიოქსელის გაყვანაში, სკოლის კაპიტალური რემონტისათვის გამოყვეს საჭირო მასალები.



ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავს მიეძღვნა გამოფენა, რომელიც კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა.

სტენდებზე გამოფენილია წიგნები, ბროშურები, ილუსტრაციები, დიაგრამები, სხვადასხვა თვალსაჩინო მასალები.

გამოფენა ნათლად ასახავს იმ დიდ წარმატებებს, რომლებიც სახალხო ბულგარეთმა მოიპოვა.



აჭარის მაღალმთიან სოფლებში უკანასკნელ ხანებში მწყობრში ჩადგა საყოფაცხოვრებო მომსახურების 85 პავილიონი (257 სამუშაო ადგილით).

მაღალმთიანი რაიონების უკეთ მომსახურების მიზნით ბათუმში გაიხსნა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვადასხვა სპეციალობას დაეუფლებიან ახალგაზრდები.

●

კარგი საჩუქარი მიიღეს წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის მოსწავლეებმა: მწყობრში ჩადგა საშუალო სკოლის ახალი შენობა.

სასწავლო წელი ახლად აშენებულ სკოლებში დაიწყეს აგრეთვე ველისციხელმა, ჯიმითელმა, ჭანდრელმა და ვაზისუბნელმა მოსწავლეებმა.



საქართველოს წარმტაცი ქალაქი სიღნაღი, რომელიც ტყით დაბურულ მთის წვერზეა შეფენილი, მალე საბაგირო ხაზით დაუკავშირდება წნორს.

საბაგირო ხაზი 15 კილომეტრით მოჭრის მთაზე დაკლაკნილ გზას და წნორიდან 5 წუთში აიყვანს მგზავრებს რაიონის ცენტრში — სიღნაღში.

●

ამას წინათ ვილნიუსში თავისუფალი ვარჯიშის შესრულებისას თბილისელმა სპორტსმენმა პაატა შამუგიამ სამმაგი პირუეტი გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში სამმაგ პირუეტს პაატა შამუგიას გარდა აკეთებს მხოლოდ იაპონელი ტანმოვარჯიშე ეიძო კენმოცუ.

●

ბულგარეთში საბჭოთა კავშირისათვის ააგეს ტანკერი, რომელსაც დაღუპული ქართველი კაპიტნის თენგიზ მაქაცარიას სახელი დაერქვა.

უშიშარმა კაპიტანმა თენგიზ მაქაცარიამ რევოლუციის გამარჯვებისთანავე თავისუფალ კუბაში პირველი საბჭოთა გემი ჩაიყვანა და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა.

●

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს ახალი წარმატებები მოიპოვა ქუთაისის რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხანამ, რომელიც 240 დასახელების ნაწარმს უშვებს.

მოსკოვის საწარმოო გაერთიანება „მოსკვიჩი“, ქუთაისისა და მინსკის ავტოქარხნები ქუთაისის რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხანას მადლობას უხდიან საუკეთესო ხარისხის პროდუქციის მიწოდებისათვის. ქარხანას წელს არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია.



ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყომ“ ამას წინათ ნოვოლიპეცკიდან რულონის ფოლადის ახალი პარტია მიიღო. ერთ-ერთ შეკვრაზე ეწერა: „ნოვოლიპეცკის მეტალურგიული ქარხანა ორი მილიონი ტონა ფოლადის გამოშვებასთან დაკავშირებით საჩუქრად გიგზავნით ამ შეკვრას“.

ორი ქარხნის მეგობრობა 15 წელია გრძელდება. ნოვოლიპეცკიდან ბათუმელები შეუფერხებლად იღებენ საჭირო რულონის ფოლადს.



ყაზბეგის რაიონში, თრუსოს იალაღებზე კობის კოლმეურნეობის ცხვრის ფარას ღამით დათვი დაესხა თავს.

მშიერმა ნადირმა ცხვარი მოიგდო ზურგზე, გაქცევას აპირებდა, მაგრამ მწყემსმა გერმან ფაჯიშვილმა გადაუღობა გზა.

ღამის სიბნელეში მწყემსმა ტყვიით დაჭრა დათვი, მერე გამძვინვარებულ ნადირს დანით ეკვეთა და სული გააფრთხობინა.

●

ახალციხის რაიონში დიდი ყურადღება ექცევა მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ამას წინათ რაიონის სოფლებში — აწყურსა და ზიკილიაში პედაგოგთა მრავალმა ოჯახმა ახალსახლობა იზეიმა.

ორივე სოფელში მასწავლებელთა სახლები ააგო რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის ახალციხის მე-7 მოძრავმა კოლონამ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოჩენილ პროზაიკოსს, დრამატურგსა და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ მრევლიშვილს სამოცდაათი წელი შეუსრულდა. მწერალმა პირველი რომანი — „ინონი“ თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ გამოაქვეყნა. მაშინ იგი ძალიან ახალგაზრდა იყო და მის პირველ ნაბიჯს მწერლობაში ჩვენი საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა. შემდეგ მ. მრევლიშვილი დროდადრო აქვეყნებს საინტერესო მოთხრობებს, მაგრამ განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად რომანს „ხარატაანთ კერას“, რომელიც დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დაიბეჭდა ჩვენს პრესაში და მკითხველის დიდი სიყვარული დაიმსახურა. ეს რომანი შემდეგ ავტორმა პიესად დაწერა და დიდხანს იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. ასევე წარმატება ხვდა წილად მოთხრობას — „ოქროსზარნიშიანი ხანჯალი“ და პიესებს „ბარათაშვილი“ და „ზვავი“. შემდეგ მ. მრევლიშვილი აქვეყნებს საყურადღებო მოთხრობას „საბედისწერო მოსახვევი“.

ბოლო წლებში მიხ. მრევლიშვილმა დაწერა „თბილისური ნოველები“, რომელიც მწერლის წინსვლაზე მეტყველებს.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ღვაწლმოსილ მწერალს, ჩვენი ჟურნალის უახლოეს თანამშრომელს დაბადების დღეს და უსურვებს მრავალ გამარჯვებას მწერლობის სარბიელზე, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

ვაქვეყნებთ მიხეილ მრევლიშვილის ახალ ნაწარმოებს თბილისური ნოველების წიგნიდან.

მიხეილ მრევლიშვილი

# მეგობრები

თბილისური ნოველების წიგნიდან

ორთაჭალის მყუდრო უბანში ერთი პატარა სასადილო იყო. საღამოობით აქ თარისა და დუდუკის ხმას ყურთასმენა მიჰქონდა. ამ ხმიანობით გაკვირვებული უცხო მგზავრი იტყოდა: — აქ უთუოდ მცხეთობა არისო...

უბნელებმა იცოდნენ სცდებოდა მგზავრი. აქ მუდამჟამს მეზობლების თავშეყრა იყო და მუდამჟამს ლხინი. ქეიფის საბაბს რა დალევს უბანში! ერთი თუ ძეობას იხდიდა ტოლებთან, მეორე გარჯას და მარიფათს შრომისას. ერთი თუ ფალავნობის სახელს უხდიდა ვალს, მეორე ახლად მიღებულ სამკერდე ნიშანს ნათლავდა ზარხოშში. ერთიცა და მეორეც, ესეც და ისიც ტკბობისათვის იყო, თავშეყრისთვის იყო და სხვა არაფერი.

ამ სალხინო ადგილს სხვა სტუმრებიც ჰყავდა. ზოგი უცხო და ზოგი შინაური. ზოგი ყრმა და ზოგი მოხუცი. ამათ რიგს ეკუთვნოდა ორი ჩრდილი და ორი აჩრდილი, ორი ზღაპარში გადასული ვინმე.

ერთი სიტყვით, ერთს გიგო ერქვა და მეორეს—გიგოლა. ერთი წვრილი იყო და ყანჩა, მეორე დაბალი და ტროყა. პირველი ფიცხი იყო და ღვინოში უზნეო, მეორე დინჯი და ღვინოში შაქარი. ორივე შუახანს გადაცილებული და ორივე უცოლო. ლოგინის გამთლელი რომ არ ეყოლება ადამიანს, ის რა კაცია ქვეყანაზე. ალბათ ამიტომ უყვარდათ ერთმანეთი ძმურად და ერთად იყოფდნენ ჭირსა და ლხინს. თანაც ორივე ორთაჭალაში, ერთ ვეება სახლში ცხოვრობდა მეზობლად და ორივეს თითო ოთახიანი ბინა ჰქონდა საკუთრად, თავისი აბაზნითა და სხვა საფარეშოებით.

გიგო თერძი იყო ხელობით და სწორედ რომ ოქროს ხელი ჰქონდა. კაცს ტანთ შემოსავდა ისე, რომ კუზიანი და გონჯი წერწეტა ლერწმად მოგვლინებოდათ. ხაზი თარგისა თუ ნაოჭი ხაზისა ისე მისდევდა ტანს, დასამალს მალავდა და საჩინოს აჩენდა. რაღა ბევრი გავაგრძელო და, მაკრატლის ოინბაზი იყო გიგო. ჯვალოში უშნოდ შეხვეული სარი სხვების სიკოხტავეს გადაჰყოლოდა. თითონ ტიტველი სხვებსა მოსავდა და ამაში პოულობდა შვებას.

გიგოლა ერთი უზარმაზარი ქარხნის მოლარე იყო და სხვა არაფერი. გიგოლა რომ ერთ დღეს ფულს დაითვლიდა, ბევრი ჩვენგანი იმოდენა ფულს სიზმარშიაც ვერ ნახავს. დააწყობდა დასტად გიგოლა მანეთიანებს და თუმნიანებს, ოცდახუთმანეთიანებს და ათ თუმნიანებს, კარგი სარდალივით გადახედავდა, „დღეს მე ვარ თქვენი მბრძანებელიო“, — გაიფიქრებდა ამაყი ღიმილით, მერე გულიანად ამოიოხრებდა და ამ მილეთის ქონებას რკინის სალაროში მაგრად ჩაჰკეტავდა.

კაცს არ ახსოვს კაპიკი დაჰკლებოდა გიგოლას ხაზინას, ანდა ერთი გროში ზედმეტი აღმოჩენოდა. არავის სმენია სხვისი დანაკლისი თავისთვის მიეთვალა და თითონ ხშირად უკაპეიკოს ხელი წასცდენოდა მრუდედ.

ჰოდა, ჩამოარიგებდა ფულს ჩვენი გიგოლა, დინჯად და ღიმილით ჩაუთვლიდა ყველას თავისას, ამ თვლა-ანგარიშში ჩამოიფქვებოდა სამუშაო დღეც, დაკეტავდა მოლარე სალაროს და გაუდგებოდა ტაატით გზას. შინ მიმავალი ინახულებდა სამკერვალოში გიგოს. მოიკითხავდა, გვერდზე გაიხმობდა, ფეხის წვერებზე შედგებოდა და თავდახრილ ყანჩას ყურში ჩასჩურჩულებდა:

— მანეთი რა არი და... სამი მანეთი მასესხეო!

გაანჩხლდებოდა გიგო, გაიჭიმებოდა უშნოდ, ხელით მოისრესდა გაბუჟუნებულ ცხვირს და ჩახლეჩილი ხმით ჩაიხრიალებდა:

— მანეთი რა არი, სამ მანეთს მოგცემ, მაგრამ შენი მაკვირვებს, ასიათასობით ფული ტრიალებს შენს ხელში და ერთი სამმანეთიანი როგორ არ აეკრო მაგ არდასარჩენ თითებსა?!

გაიბუტებოდა ამაზე გიგოლა, შეუბრუნებდა მეგობარს ზურგს და დაეშვებოდა ქვევით. გამოუდგებოდა ახლა ყანჩა-გიგო ტროყა-გიგოლასა და შეიქმნებოდა წიოკობა. აქეთ გიგო და იქით გიგოლა: „წაიღე“ და „არ წავიღებო“, „სამი რა არის, ხუთი წაიღეო“. და „დატირებული რად მინდაო“. „წაიღე თორემ დავხევო“ და „სამი მომეცი, მაშინ წავიღებო“. შერიგდებოდნენ ბოლოს. აიღებდა გიგოლა სამს და უბის წიგნაკში აღნიშნავდა: „მავან დროს და მავან ადგილას სამი მანეთი გიგოსგანაო“.

აგრე იყვნენ შეწყობილნი გიგო და გიგოლა, თუ დილით დაუტევდნენ ერთმანეთს, საღამოთი შერიგდებოდნენ, თუ საღამოთი—დილით იყო გულისძგერა და ერთმანეთის ძებნა. ასეთია ბუნება სულიერისა, ვისმეს უნდა მიეკედლოს უთუოდ!

ერთხელ გიგომ სასაუზმე აღმოაჩინა ორთაჭალის მყუდროებაში. მოეწონა. სუფთა იყო და აბანოდან გამოსული კაცი აქ გაიგრილებდა გულს. იცოდა, გიგოლა ჭრელი აბანოს დამთმობი არ იყო და თითონ გიგოც ძალზე აფასებდა გოგირდოვანს. ორივეს უყვარდა კარგი ქისა და საპნის ფანტელები. დაილოცა მათი მომგონი!

იფიქრა გიგომ და ნაფიქრალი გიგოლას გაანდო. მოეწონა გიგოლას მეგობრის აზრი და დასტური მისცა. ის იყო და ის. იმ დღიდან მეგობრები ყოველ შაბათს, აბანოში განწმენდილნი ჭუჭყისა და ცოდვებისაგან, ორთაჭალის სასადილოს ოხშივარში იძირებოდნენ. სასადილოც გულგაშლილი ხვდებოდა მათ და კუთხეში მიდგმული პატარა ტაბლა შორიდან უღიმოდა გაწურულ მეგობრებს.

მიუსხდებოდნენ სტუმრები მაგიდას, მოითხოვდნენ ცოტა რამ შესაქამადს, ორიოდე ჩარექა თავანკარა ღვინოს და მიივიწყებდნენ ყველაფერს აქეთურს.

დღესაც ასე იყო სწორედ. იბანეს და ინახულეს ტაბლა. აიღეს ლუკმა და შეუდგნენ პურობას.

— შევსვათ! — თქვა გიგომ და ჭიქები შეავსო.

— შევსვათ!... — დაუდასტურა გიგოლამ გიგოს.

— ამ შაბათისა იყოს! — გამოსცრა ყანჩამ და ჭიქა დასცალა.

— შენ რა, გიგო, სადღეგრძელო შემოგელია?—უკბინა გიგოლამ მეგობარს და ცოტა მოსვა.

— რა არ მოგეწონა ვითომ? — ჩაილაპარაკა გაანჩხლებულმა თერძმა, ცერად გადახედა არიფის ჭიქას და მწყრალად შესძახა: — რა ვერ გაიგე, შე უნდილო, შენა. თუ ექვსი დღე მოყვასისაა, შაბათი საღამო ჩვენია და ეს ტაბლაც ჩვენია!

— მართალია, აბანოც ჩვენია, ქისაც ჩვენია, საპონიც ჩვენია! — ეშმაკურად ჩაიხითხითა ტროყამა და ჭიქა დაცალა.

— აი, აგრე! — მოუწონა გიგომ გიგოლას და ჭიქები აავსო. მერე ჩაფიქრდა და ანაზდად ღია ფანჯარას გაჰხედა.

ღამდებოდა. ფანჯრის გადაღმა, მავთულებში გაბმული ქარი წიოკობდა. სანაპიროსთან არტახებში ჩამჯდარი მტკვარი ბორგავდა და ქაფად დნებოდა. მტკვრის გასწვრივ დიდი შარაგზა წივილ-კივილით და ქოთქოთით მიისწრაფოდა, სიპზე შემდგარი მეტეხი და რაინდი ტაიჭოსანი ბინდისა და შუქფარების ნისლში ცურავდა. ასეთი იყო იმ საღამოს, ამ ფანჯრიდან, თბილის-ქალაქი.

თერძმა ფანჯარას ერთბაშად თვალი მოსწყვიტა, სავსე ჭიქა ხელში აიღო, გიგოლას ცერად გადახედა და ამაყად წამოიძახა:

— მოდი, გიგოლ, ჩვენ საყვარელ თბილისსა და ვახტანგ გორგასალს გაუმარჯოს! — თქვა ესა და თავმომწონედ გადახედა თავის მეგობარს.

— ყოჩაღ, გიგო, ალალია გორგასალისთვის! — მოუწონა თანამესუფრეს მოლარემ.

მეგობრებმა ღვინო დალიეს და ჭიქები ისევ შეავსეს. წუთით დუმილი ჩამოვარდა. გიგო ისევ ღამის ბურუსში მოცურავე ჩრდილს გაჰყურებდა. გიგოლა კერძს მადიანად შეექცეოდა.

— ნეტა, ერთი წამოაყენა! — ინატრა ყანჩამ.

— თავი დაანებე, ეძინოს! — ურჩია გიგოლამ.

— რათა?..

— დროსაც თავისი ამფსონი ჰყავს!..

— ვერ ივარგებდა გორგასალად?

—დრონი მეფობენ და არა მეფენიო, ხომ გაგიგია!

ყველას თავისი დრო-ჟამი აქვს. ყველას და ყველაფერს! — აუხსნა გიგოლამ თერძს.

— რათა ვითომ? — იწყინა თერძმა, — მე რო გორგასალს ვხლებოდე, ვერ შევუკერავდი სამეფო ტანსაცმელს, ვერ გავუწყობდი რიგიანად?!

— ვერა.

—ეჰ!.. — ამოიოხრა გიგომ და მერე ისევ თავისი განაგრძო: — კარგი, ვთქვათ მე ვერ გამოვდგებოდი, შენა გიგოლ?..

— მე რა ვითომ?

— თამარის კარზე ვერ შესძლებდი მოლარეობას?..

— ვერა.

— ვახ! ფულის თვლას ვითამ რაღა უნდა?

— მე ქაღალდს ვთვლი... იქ ოქრო უნდა მეთვალნა მისხლობით.

— ოქრო?! — გაიკვირვა თერძმა.

— ჰო, ოქროს ფული და ბეჭდები, ძვირფასი თვლებით გაწყობილი ოქროს თასები, ამბარჩები ალმასებითა, ფიალები მოკირწყლული ფირუზებითა, აზარფეშები მარჯან-ლალითა და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ! — აუხსნა გიგოლამ თერძს.

— მერე, გიგოლ, ვერ მოუვლიდი მაგ სიმდიდრესა? — იკითხა დაინტერესებულმა ყანჩამ.

— რომც მომევლო, ვინ მიმიშვებდა, ვინ მანდობდა ამდენ სიმდიდრეს!

— დღეს თუ განდობენ დასტობით ფულს?! — გაანჩხლდა გიგო.

— მაშინ სხვა იყო. მაშინ მოლარედ წარჩინებულ ვაზირს ნიშნავდნენ.

— მე რომ მეფე ვყოფილიყავი, შენ დაგნიშნავდი ჩემს მოლარედ! — წამოიძახა გიგომ და ჭიქა ასწია, თან განაგრძო: — იცი რა გითხრა, რაკი აგრეა, მაშ ისევ ჩვენ დროს გაუმარჯოს!

— აგრე იყოს! — დაუდასტურა გიგოლამ და მეგობრებმა სასმისები ისევ დასცალეს. — ეს რა თქვა, კაცო, თამარ მეფე მოლარედ არ ამიყვანდაო! — წამოიძახა გაანჩხლებულმა გიგომ და ნამიანი ჩარექიანი ჭიქებში ნება ჩასწურა, მერე უცბად მოილბო ხმა, — შენ, გიგოლა, შენი თავის ფასი არ იცი!

— რა ვარ ვითამ ასეთი ნიკორა?! — გაიკვირვა გიგოლამ ღიმილით.

— როგორ გითხრა, — ჩაფიქრდა თერძი, ეტყობოდა მეგობარი შესაფერის სიტყვებს ეძებდა, — რა ხარ იცი... ერთი სიტყვით, დილის ტრთვილივით სუფთა ხარ, გიგოლა, და ეგა ხარ, სხვა არაფერი! — თქვა ესა და ჭიქა დასცალა.

— სად მოგაგონდა, გიგო, თრთვილი. რა ხანია აღარ მსმენია.

— რა, არ მოგწონს?

— არა, პირიქით, ბალღობაში გადამისროლა... — დაამშვიდა გიგოლამ გიგო. შენც სხვა ხარ, გიგო, ოსტატი ხარ, მხატვარი ხარ შენი საქმისა. რომ იცოდე, მუდამ ჩემი ოცნება იყო... — აქ ხელი ჩაიქნია გიგოლამ და სიტყვა აღარ დაასრულა.

— რა ოცნება? — დაინტერესდა ოსტატი.

— როგორ გითხრა... ჩემი ოცნება იყო... შენი ხელით შეკერილი ტანსაცმელი მცმოდა, მეც გამოვსულიყავი ხალხში თავმომწონედ და კოხტად, — ჩაილუღლუღა გიგოლამ და გაწითლდა.

— არა, მართლა?! — გაიკვირვა ყანჩამ.

— შენი სახელი, ჩემო გიგო, უბნებს აჰყვა და მთელ ქალაქს მოედო. ყველას შენთან უნდა მოხვდეს, დიდსა და პატარას. თერძი-გიგო პირზე აკერია ხალხს. ყველა შენ გაქებს და გლოცავს. მეც გამკეწლა აზრმა, გიგოს ნახელავი ჩემთვის უფრო უპრიანი იქნება-მეთქი... — ბუტბუტებდა მორცხვად გიგოლა.

— მერე? — ჩაიხრიალა თვალზე ცრემლმომდგარმა თერძმა.

— მერე გადავწყვიტე მეთქვა... მასალაც ვიყიდე, მაგრამ... — აღარ დაამთავრა გიგოლამ სათქმელი.

გიგომ ტაბლა გვერდზე მისწია და წამოდგა:

— ერთი მითხარი, რასა ჰგავს ვითამ შენი ქცევა. ისიც მითხარი, ტყუილად გვიგრეხია ერთად წლები, ტყუილად გაგვიყვია ლუკმა, ტყუილად შეგვისვამს სადღეგრძელო ცოცხლისა და მკვდრისა?.. არა, ერთი წყვილი ტანისამოსის შეკერვა რა არი, მაგაზე უკან დავიხიო!..

— რომ იცოდე, რაც ამქვეყნად დავღოღიალებ, ხეირიანი არა მცმია რა, მაგრამ ეგ რა შენი ბრალია. მე რომელი ჯამბაკური ვარ, პირველი თერძის ნახელავი ტანზე მოვირგო!.. — სცადა გიგოლამ მეგობრის დაშოშმინება.

ყანჩა არ ცხრებოდა:

— ხედავ გულში რასა ფიქრობდი და არაფერს მეუბნებოდი... ეგა გგონია მეგობრობა, შე ურჯულო, კრიჭაშეკრულო მაჯლაჯუნავ, ანჩისხატის უბედურებავ!..

— დაიცადე... იქნება ჩემი გულთნადები ისევ ჩემმა მოკრძალებამ ვერ გაგიმხილა, ამისთვისა ვარ ანჩისხატის უბედურება?!

თერძი მოტყდა, მერე გიგოლას დაუყვავა:

— კაცი არ ვიყო, თუ ეგ ნატვრა არ შეგისრულო, ისე გაგაწყო, როგორც ირანის ფადიშაჰი, ისე დაგხატო, გუდიაშვილის ნაოსტატარს წილს არ უდებდე, ისე მოგრთო და მოგკაზმო, საქორწილოდ მომწიფებულ უბნის გოგოებს ელეთმელეთი მოსდიოდეთ შენ დანახვაზე, მაშა!..

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მწვადის სუნი სასადილოში თამბაქოს ბოლს ეზავებოდა, თარი თავისას მღეროდა, მოქეიფენი თავისას. ამასობაში ისევ ყანჩა-გიგო ალაპარაკდა:

— შენა, გიგოლ, მოსიყვარულე კაცი ხარ და ეგრე ცალუღლად სიარული არ გეკადრება.

— შენა, კაცო?..

— მე, როგორც იცი, დავქვრივდი და ჩემი ცხოვრება არ აეწყო.

— მე კი, გიგო, იმთავითვე ქალთმოძულეთა ამქარში ვარ...

— ეგ კი ვიცი, მაგრამ მაინც, ოჯახი სხვაა. ადამიანს მერცხალივით ბუდე სჭირდება, ალერსი და სითბო სწყურდება.

— ალერსი, გიგო, ხმელ შეშას ჰგავს, დაიწვის და ფერფლი შეგრჩება.

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ მაინც... შთამომავლობა. ვალდებულება ერისა და ქვეყნის წინაშე?

— მე დედ-მამით დაობლებული დისწულები დავზარდე და ვალიც ამითი მოვიხადე ქვეყნის წინაშე.

— ჰო, მართლა, ეხლა სად არიან შენი ობლები?

ამ შეკითხვით გაკვირვებულმა გიგოლამ ცერად გაჰხედა მეგობარს:

— რა ვქნა, გიგო, შენ ხომ არ ურევ ამ ბოლო დროს, ეს მერამდენედ მეკითხები ერთი და იგივეს?

— შეიძლება... გასაკვირი არაფერია... — ნაღვლიანად დაუდასტურა მობაასემ.

— ფრთები შეისხეს, გიგო, ფრთები და გაფრინდნენ. დედაჩემმა ვეღარ გაუძლო დაობლებულ სახლ-კარის ცქერას, არც მე წამომყვა ქალაქში და თავისი ბოსლის კარის წინ უეცრივ გარდაიცვალა. დაკრძალვაზე შენც წაგიყვანე, აღარ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, თაფლივით ტკბილი ქალი იყო საწყალი ნინო...

— ისიც გახსოვს, როგორ ტიროდი უჩუმრად?

— მახსოვს...

— ჰოდა, თუ გახსოვს კარგია და, თუ არა, მე რა გიყო, ისევ დავიწყო თავიდან?

— ხუმრობას თავი დაანებე! — წამოიფხორა ყანჩა, შენა ძმაო, დედის ალერსი მაინც გახსოვს, შენი დაზრდილი დისწულების სხივი დაგნათის. მე, გიგოლა, შენს მეტი აღარავინ მყავს დუნიაზე... გაიგე შენა?.. ჰოდა აი, ნინო-ძალოს ხსოვნისა იყოს ეს ჭიქა! — თქვა გიგომ და თვალს მომწყდარი მძიმე ცრემლი სასმისში ჩასწურა.

გიგოლამ პურის ნატეხი ჩაალბო ღვინოში და ჭიქიდან ცოტა რომ მოსვა, მერე აზიდულ სახეს შეხედა.

— დაჯექი, გიგო, დამშვიდდი! — უთხრა მეგობარს.

გიგო დაჯდა. ამოიოხრა, თავი ხელებში ჩაჰკიდა და ჩაფიქრდა. გატრუნული იჯდა ყანჩა კარგა ხანს. გიგოლა შიშით შეჰყურებდა ფიქრებში წასულ მეგობარს და უხერხული სიჩუმის გასაფანტავად თეფშზე დაყრილ ქორფა ბოლოკს მადიანად ახრამუნებდა. თერძმა უცბად თავი ასწია და მეგობარს უსაყვედურა:

— რა კამეჩივით იცოხნები, რა დაგემართა?!

— ვე!.. — წაიზმუკუნა გიგოლამ და ბოლოკით სავსე თეფში გვერდზე მისწია, მერე სიტყვა ხუმრობაში გადაიტანა: — უკაცრავად, სოლომონ ბრძენო, დამნაშავე ვარ ნამდვილად, ვინ იცის, აზრი გაგიწყვიტე რუსთაველური!

— დაცინვას კაცი არ მოუკლავს, ტუტუცო! — ჩაიხრიალა გიგომა და ცხვირის წვერი წამოუწითლდა.

— დაცინვას არა, მაგრამ ღალატს შეუძლია კაცი იმსხვერპლოს!

— ღალატი რა მოსატანია?

— არა, მე ისე, სხვათა შორის...

— მაინც, გიგოლ?..

— ერთი ამბავი გავიგე და მეწყინა.

— რა ამბავი?

— ალბათ ჭორია, გიგო, არ ღირს ამაზე ლაპარაკი!

— შენ მითხარი და ჭორის მთქმელს გავუსწორდები! — წამოიძახა გიგომ და მაგიდაზე მივიწყებულ ბეჭის სათლელ დანას თვალი შეავლო.

გიგოლამ დანა აიღო და კერძის მომტანი მოიხმო:

— აი, ეს დანა წაიღე და ჩვენ კიდევ ერთი ჩარექა მოგვიტანე იმავე ღვინისა

როცა მსახური წავიდა, გიგოლამ გიგოს შეხედა, მის თვალებში სევდა ამოიკითხა. გიგოლას გული შეეკუმშა, მეგობრისკენ გადაიხარა და დაიწყო:

— გეტყვი, გიგო, როგორ არ გეტყვი, მე თუ არა, მაშ ვინ უნდა გითხრას... შენი სალომე თხოვდებაო... მართალია?..

— ვიცი... — გამოსცრა თერძმა სევდანარევი გულგრილობით.

— მერე შენა? — შეეკითხა გაკვირვებული გიგოლა და სამძიმრის კილოთი დაუმატა: — სადღა დაიდებ ეხლა ბინას?

— გაწყდა ქვრივები ქვეყანაზე, ჩემო გიგოლა?—წამოიძახა გიგომა და განაგრძო:

— ეგ ყველაფერი, გიგოლა, სიზმარივით წარმავალია. დღეს სალომე, ხვალ აგრაფინა. ეგ ეხლა ჩემთვის სულ ერთია. მარტოხელა უთვისტომოსთვის ხის ნაყოფივით სუყველა ერთი გემოსია... ხა... ხა... — ჩაიხითხითა გიგომა და უეცრად შუბლი შეიკრა.

— არა, გიგო, სალომე მაინც სხვა იყო!

— იყო და არა იყო რა...

— დარბაისელი ქალია სალომე. გილოლიავა, გიცადა და როცა არა გამოვიდა რა, გზა მონახა, ტოლი იპოვა. ქალის შუადღე კაცისაზე უფრო მოკლეა, არ გაემტყუნება.

— ვინ ამტყუნებს, ან მე რა მაქვს სასაყვედურო. ბევრი კარგი წუთი მაქვს ჩამოღვენთილი სალომესთან. მადლიანი დედაკაცია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოდა, მერე?..

— რა ნება მქონდა, გიგოლა, მის ბედ-იღბალს გადავდგომოდე. მე რა მაქვს, რომ ქალის ფარეშს გადავყოლოდე...

— არ მეგონა, ეგრე იოლად თუ გადაუსვამდი ხაზს ყველაფერს.

— მე რა მექნა, მე რომელი ტარიელი ვარ, საუდაბნოეთს გავჭრილიყავ?!.

— არა, მაგრამ.. გული მაინც რას გეუბნება?

— ბანს, გიგოლა, ბანს მეუბნება!..

— ვერაფერი გული გქონია!..

ამ სიტყვების გაგონებაზე ხელში ჭიქა აუკანკალდა თერძს, სახე ერთბაშად წამოენთო:

— შენ რა ჩემი დასტაქარი ხარ, რად იქექები ჩემს გულში ჭორიკანა დედაკაცივით, რას ეძებ იქ?

— დაწყნარდი, გიგო, დაწყნარდი და ეგ ჭიქა დადგი სუფრაზე. ვერა ხედავ, ღვინო გეღვრება, — დაუყვავა გიგოლამ თერძს.

— მეჯავრება არამკითხე მოსამძიმრენი.

— ეგ მოყვასის თანაგრძნობაა, შე უნდილო! — შეუტია გიგოლამ.

— ჰოდა, არ მინდა მე ასეთი თანამგრძნობელი, გარდა მაგისა, საჭირისუფლო არა მაქვს რა, რით ვერ გაიგე?!

— შენა, გიგო, ზღარბის ჯიშისა უნდა იყო, კაცი ვერ მოგეკარება.

— ისეთი ვარ, როგორც მშობელმა გამაჩინა, არც მეტი და არც ნაკლები! — მოუჭრა გიგომ მეგობარს და კერძის მომტანს გასძახა: — ანგარიში დანახარჯისა!

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა მეგობრებს შორის. იქვე მახლობლად დუდუკები გაბმით კვნესოდნენ და მედოლე ეთიმ გურჯის ლექსსა მღეროდა. გიგოლა ქვეშქვეშ შესცქეროდა თვალებმილულულ მეგობარს. ხალიანმა ულვაშოვანმა ანგარიში სინით მიართვა სტუმრებსა და გაუჩინარდა.

გიგოლამ ხელი ჯიბისკენ წაიღო. გიგო შეირხა, სინი თავისკენ მისწია, ტყავის საფულე ამოიღო, დანახარჯი სინზე დაყარა და წამოდგა.

— დღეს მე ვიხდი, ჩემი ჯერია! — თქვა და უბის კალთა ჩამოიბერტყა.

— რა გაეწყობა... ჯერი ჯერია!.. — დაუდასტურა გიგოლამ და ისიც წამოდგა.

მეგობრებმა უხმოდ დატოვეს ორთაჭალის მყუდრო უბანი და ქუჩის ნაკადს შეუერთდნენ.

მოსახვევში გიგომ ანძას ხელი ჩასჭიდა. ბოღმიანად ამოიოხრა და შეჩერდა. გიგოლამ ყანჩას ახედა და იქვე ახლოს, რომელიღაც სადარბაზოს საფეხურზე ჩამოჯდა.

— ზღარბი, არა?! — წამოიძახა გიგომა და ქვაზე მჯდომს თვალი შეავლო.

— შენ ვითომ რა, თავიდან იწყებ დავას? — შეეკითხა გიგოლა თერძს.

— თავიდან რათა, ყველა არაკს თავის ბოლო აქვს!

— დააბოლოვე სათქმელი!

— დავაბოლოვო... გგონია ადვილი იყოს!... — წაიბუზღუნა ყანჩამ და მეგობარს გვერდით მიუჯდა.

გიგოლამ იგრძნო, როგორა თრთოდა გიგო და როგორ ბორგავდა.

— რა მოგივიდა, რათა თრთიხარ?

— არ ვიცი, გიგოლ, მცივა რაღაც...

— ადექი, ქვაზე ნუ ზიხარ, წელკავი არ აგეკიდოს!

— ეჰ, სულერთია, ჩემო გიგოლ, რა წელკავი, რა შავი ჭირი!..

ზანტი დუმილი ჩამოვარდა მეგობრებს შორის. სდუმდა ქუჩაც. მხოლოდ შორიდან ნისლს მოჰქონდა, ყურისთვის ოდნავ გასარჩევი, მტკვრის ოროველა. ბოლოს, გიგომ გაბედა:

— გიმეორებ... აი... შენს მეტი არავინა მყავს ქვეყანაზე!..

— შენა, გიგო, წნევას ხომ არ უჩივი?

— ხუმრობას თავი დაანებე! — აენთო ყანჩა.

— შენა, ძმაო, რაღაც გღრღნის და არ მეუბნები! — უსაყვედურა გიგოლამ.

— რჩევასა გთხოვ...

— მაგაზე როგორ დაგზარდები!

— როგორა ფიქრობ... როგორ გგონია, გიგოლა, არ ივარგებს ორმოცი წლის მანდილოსნისთვის... ვთქვათ, თოვლის ფიფქივით თეთრი კაბა?..

გაკვირვებული გიგოლა ფეთიანივით წამოხტა. ყანჩამ თავი მხრებში ჩაწურა.

— ეგ რა ვითომ, საქორწილო საჩუქარია?

— ჰო... ბაფთებიანი ფიფქის კაბა..

— შე კაი კაცო, წელან ისე იკბინებოდი თავაწყვეტილი ქოფაკივით, ეხლა ვითომ რა დაგემართა?!

— რა ვქნა, გიგოლ, ძაან მინდა სახსოვრად საჩუქარი რამე მივუძღვნა.

გიგოლას გული შეეკუმშა. ხელი მოკიდა მეგობარს და წამოაყენა.

— არა, გიგო, არ ივარგებს, თეთრი კაბა არ მოუხდება.

— მართალია, წესიც არ არის, — დაეთანხმა გულმოკლული გიგო მეგობარს.

გიგოლა ჩაფიქრდა. არ იცოდა, როგორ ეშველა მეგობრის გასაჭირისთვის. ხან ვარდების თაიგულებზე იფიქრა, ხან ყუთში კოხტად ჩაწყობილ ტკბილეულზე, მაგრამ იცოდა, მეგობარი არც ერთს არ მოუწონებდა, ახლო არ გაიკარებდა. გიგო ახლა იმ დღეში იყო, რომ შესძლებოდა ციდან ვარსკვლავებს მოკრეფდა სალომესათვის.

ჩაფიქრებული გიგოლა შეტოკდა. თითქოს რაღაც საგანგებო მოაგონდაო, ხელი ჩაკიდა მეგობარს და შესძახა:

— სალომე, შავგვრემანი ქალია და საყურეები მოუხდება!

— მერე? — შუბლი შეიკრა მეგობარმა.

— ბაჯაღლო ოქროს ბუდეში ჩასმული მარგალიტებით!

— სად ვიშოვო ეგეთი ზღაპრული საყურეები?

— ძველებური ნაკეთობაა, თვალს ვერ მოსწყვიტავ ისეთია!

—მერე, მე რა? — გაანჩხლდა თერძი.

— შენა, გიგო, დაწყნარდი და საყურეები ჩემზე იყოს!

— თვითონ რა გაქვს, მე რას მპირდები!

— ალბათ მაქვს! შენა, გიგო, ახირებული კაცი ხარ და იცოდე, არ ამიყირავდე. დანაპირები საყურეები დედაჩემს მოჰყვა მზითევში. სახსოვრად მქონდა შენახული. ჰოდა, ეხლა შენი სახელით მივართმევ სალომეს იმ საყურეებს!

— გიგოლა!..

— განაჩენი საბოლოოა. წავიდეთ!

ბურუსიანი ღამე იყო. ბოძებს მიბმული ჩირაღდნები, შორეული ვარსკვლავებივით, თავისსავე შარავანდედში დნებოდნენ. განათებული ნარიყალა „ქართლის ცხოვრების“ ახალთახალ ფურცელსა შლიდა. ქვაფენილზე ორი ლანდი მიფარფატებდა.



# 25 მილიონი

ამ ცოტა ხნის წინ დიდი ზეიმი ჰქონდათ რუსთაველ მეტალურგებს. ქარხანამ გამოუშვა 25-ე მილიონი ტონა ფოლადი. ამ ღირსშესანიშნავ დღეს საიუბილეო ფოლადის გამოდნობის უფლება მოიპოვა მარტენის მეოთხე ღუმელის ბრიგადამ, რომელსაც მეფოლადე მიხეილ სპანდერაშვილი უდგას სათავეში. აღსანიშნავია, რომ მარტენის საამქრომ საიუბილეო დნობაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია მწერალი გურამ ფანჯიკიძე, რომელიც პროფესიით ინჟინერ-მეტალურგია და ადრე რუსთავის გიგანტში მუშაობდა.

**სურათზე:** საიუბილეო დნობის მონაწილენი: ილია ხარანაული, უშანგი ჩუბინიძე, გურამ ფანჯიკიძე, მიხეილ სპანდერაშვილი და იოსებ ნადირაშვილი.

ფოტო გიგა ჯანიკაშვილისა

# …„დროშის …ებზე" და მის ფიქრიან გზებზე"

„ჟურნალისტური საქმის ერთ-ერთმა ქურუმმა მითხრა მოსკოვში: ჩემი ნება რომ იყოს, ჟურნალისტის დიპლომს არ გავცემდი, არამედ სამოგზაურო კვერთხს, სამოგზაურო არგანსო". ეს იმ წიგნის სტრიქონებია, ხელთ რომ მიპყრია ახლა და რომელსაც „ფიქრიანი გზები" ჰქვია.

ბევრი კაცის ნაკვალევზე გაუვლია ამ ნააზრევის ავტორს, ბევრს — მის ნაკვალევზე, ბევრს შეუნიშნავს იგივე საგნები და მოვლენები, შეუნიშნავს, მაგრამ აუღელვებლად ჩაუვლია გვერდი, არ უფიქრია, არ გაუაზრებია... ეს წიგნი კი, ჭეშმარიტად, ფიქრიანი გზების ნაყოფია. სამიოდე გვერდი წინათქმისა, რომლისთვისაც ავტორს „ჟურნალისტის სამოგზაურო კვერთხი" დაურქმევია, საკმარისია ამ დიდტანიანი ნააზრევის შესაფასებლად, ამიტომ მასში მოცემული მოსაზრებების მოტანა შეფასებათა დასტურად, ვფიქრობთ, ხშირად დაგვჭირდება.

„ჟურნალისტი მთელი ცხოვრების მანძილზე წერს ერთ დიდ გაზეთს, ამიტომ ჟურნალისტების ნაწერები, შეიძლება ითქვას, წიგნები კი არ არის, არამედ წიგნად აკინძული გაზეთებია... ჟანრებისა და თემების მოზაიკა".

იშვიათად შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც თავის სწრვილებს, შეხედულებებს, საგნებთან თუ ადამიანებთან დამოკიდებულებას ყოველდღიურ ურთიერთობაში სრულად გამოხატავდნენ (ამჯერად ჟურნალისტებს ვგულისხმობთ), და უცებ ხელთ მოგხვდებათ მათი ქაღალდზე გადატანილი ნაფიქრი, განცდილი და განსჯილი, ნანახი და გაგონილი და ისინი სულ სხვა პიროვნებად წარმოგიდგებიან.

ვლ. ალფენიძე ამ წიგნით სრულყოფილ მოაზროვნედ წარსდგა მკითხველის წინაშე.

არის ასეთი გამოთქმა: „იმოგზაურო, გაიცნო და შეისწავლო — ნიშნავს იცხოვრო!"

„ამ წიგნში რამდენი ათასი სიტყვაცაა, იმდენი ათასი კილომეტრი გადავლახე ქარსა და წვიმაში, თოვლსა და ყინვაში. უდაბნოსა და ბაღნარებში, ცასა და მიწაზე"... — წერს ავტორი ერთგან და საკვირველია, ეს მოკლე და მდიდარი ბიოგრაფია როგორ იტევს მშობლიურ საქართველოში თუ მოძმე რესპუბლიკებში, სოციალიზმის ქვეყნებში, ევროპის, ამერიკის თუ აზიისა და აფრიკის ოცამდე სახელმწიფოში გავლილ ათასობით კილომეტრს?! ესეც, ალბათ, იმ წამის შედეგია, რომელიც აღარასოდეს მეორდება და რომლის ფასიც კარგად იცის შემოქმედმა.

„ფიქრიანი გზები" საინტერესო გზებსა და ბილიკებზე გაგიყოლიებთ, შეგახვედრებთ გამორჩეული ბედის ადამიანებს — „ავრორას" მეზღვაური იქნება ეს თუ კარლ მარქსის ბადიში, ენგურისპირელი მეჩაიე თუ ბელგიის დედოფალი, ქართველი პედაგოგი თუ ამერიკელი მწერალი, ბაქოელი მენავთობე თუ ჰოლივუდის ვარსკვლავი, ქართველი მწყემსი თუ ინდოეთის ელჩი, სამურზაყანოელი რევოლუციონერი თუ კანადელ ინდიელთა ტომის ბელადი... შეგახვედრებთ და მათთან ურთიერთობის მონაწილედ გაგხდით.

ხედვის, ფანტაზიისა და ერუდიციის — ამ სამი კომპონენტის ზომიერ შერწყმას „ფიქრიანი გზების" ყოველ გვერდზე იგრძნობთ.

ხელოვნების დიდოსტატებთან შეხვედრებზე იქნება ლაპარაკი თუ გაგარინის თანავარსკვლავედზე, უცხოეთის ცის ქვეშ თუ მამულის გზებზე მომხდარ ამბებზე, ყველგან გულწრფელობა, პროფესიული ხელი, ძიებისა თუ მიგნების ღრმა კვალი გატყვევებთ და გრძნობთ, რაოდენი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია ჟურნალისტი მათს შერჩევასა და განლაგებასაც კი.

წიგნში ბევრი რამ არის ყურადსაღები, მნიშვნელოვანი და საინტერესო. ჭეშმარიტად, ეს წიგნი „ერთი კაცის თვალითაა დანახული, ერთი გულითაა განცდილი, ერთი კალმითაა დაწერილი..." იგი მახვილი თვალის, დიდი ერუდიციისა და ოსტატობის ერთობლიობაა.

„საჭიროა ადამიანი ქმნიდეს მის მიერ გატარებული ყოველი წუთისა და წამის ბიოგრაფიას, ყოველი ადამიანის ჟამთა აღწერას, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არასაინტერესო ადამიანები საერთოდ არ იბადებიან..." — წერს ავტორი და გრძნობთ, რომ მას განუცდია ყოველი განვლილი წამი, განუცდია თავისებურად, სხვებისაგან გამორჩეულად. მას უგრძვნია და მასვე აღუწერია, რადგანაც სხვას არავის აქვს ამ წამების მისეული განცდისა და სინამდვილის მისი თვალით დანახვის უნარი. „ჟანრებისა და თემების მოზაიკაში" თავმოყრილია ავტორის მიერ უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე ქართულ და საკავშირო პრესაში გამოქვეყნებული ნარკვევები, ეტიუდები, პუბლიცისტური წერილები, რეპორტაჟები, სტატიები, ჩანახატები.

ზოგიერთს, განსაკუთრებით ნიშანდობლივს, შევეხებით მხოლოდ.

უამრავ მასალაში, რაც კი დიდი ლენინის შესახებაა დაწერილი, ბელადის თანამედროვენი ცდილობენ შთამომავლობას შემოუნახონ მცირედი დეტალიც კი, რომელიც ამ ბუმბერაზ პიროვნებასთან არის დაკავშირებული. ჯერ კიდევ ბევრია ვლადიმერ ილიას ძის თანამედროვე და ქართველი ჟურნალისტიც სარგებლობს ბედნიერი შემთხვევით, იგი ესაუბრება ელენე დიმიტრის ასულ სტასოვას, ძველ რევოლუციონერს, ილიჩის ერთ-ერთ თანამებრძოლსა და მეგობარს და კიდევ ერთი საინტერესო ფურცლით ივსება ყველა დროის ამ უდიდესი ადამიანის ბიოგრაფია.

„დასასვენებლად არ მცალია!" — ხშირად გაიგონებდით ლენინისაგან. იგი მუდამ საქმეში იყო ჩაფლული. ღამეებს ათენებდა, არ ეძინა. განსაკუთრებით დაძაბულად მუშაობდა ილიჩი 1917-1920 წლებში. მე მაშინ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად ვმუშაობდი, — განაგრძობს სტასოვა, — ხშირად მირეკავდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, რომ ილიჩი გათენებამდე მუშაობს და როცა ვეუბნებით დასვენების საჭიროებაზე, ხელს ჩაიქნევს და იტყვის: „დასასვენებლად არა მცალია". საჭირო ზომების მიღებას მთხოვდნენ. მე მაშინ ვურეკავდი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს და გამოგვქონდა დადგენილება ლენინის შვებულების შესახებ. ასეთი დადგენილების პასუხად ლენინი უკმაყოფილოდ მეტყოდა ხოლმე: — როდის გვიბრძანებთ შვებულებაში წასვლას, ელენე დიმიტრის ასულო?"

ჟურნალისტი დიდი ტაქტით, ღრმა პატივისცემითა და ოსტატურად აღწერს ელენე დიმიტრის ასულ სტასოვასთან საუბარს და ბოლოს ასკვნის: „თქვენ ბედნიერი ხართ, ელენე დიმიტრის ასულო, რომ ლენინის ოცნებას, თქვენს სანუკვარ ოცნებათა განხორციელებას მოესწარით".

ბევრი საინტერესო გმირი ჰყავს ამ წიგნს — „ავრორას" თბილისელი მეზღვაური ვასილ მასლოვსკი თუ „ქართველი ბათირი სერგო ორჯონიკიძე — ღარიბთა და უპოვართა მეთაური", ლეგენდარული მხედართმთავარი ბუდიონი თუ მოძმე ვიეტნამელი ხალხის ბელადი ხო ში მინი ესპანელ კომუნისტთა ლეგენდარული ბელადი დოლორეს იბარური თუ ჩილელი ხალხის ეროვნული გმირი, ლეგენდარული ლუის კორვალანი. წიგნის გმირები არიან გაგარინი და ტიტოვი, ნიკოლაევი და პოპოვიჩი, მხატვრული სიტყვის ოსტატები — ილია ერენბურგი და ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და პაუსტოვსკი, გიორგი ლეონიძე და რასულ გამზათოვი... საბჭოთა ფუნჯის ოსტატები — იგავმიუწვდომელი სარიანი თუ კუნძულ სახალინზე მცხოვრები ნიჭიერი მხატვარი გივი მანტკავა... საბჭოთა მუსიკის დიდოსტატები არამ ხაჩატურიანი და ვანო მურადელი, მარინე მდივანი და ელისო ვირსალაძე... უცხოელი მწერლები, საზღვარგარეთელი მხატვრები და მსახიობები.

ძალზე ფართო და მრავალმხრივია „ფიქრიანი გზების" თემები და პრობლემები.

პირადი კონტაქტებით დაგროვილი უამრავი მასალა, პიროვნებათა ხასიათების წვდომა, ისტორიული და დღევანდელობის ამსახველი მასალის ღრმა ცოდნა, პოლიტიკურ ვითარებაში ნათლად გარკვევის უნარი, ტრადიციებისა და თანამედროვეობის ურთიერთობის აუცილებლობა და ზომიერება — აი, რით გვხიბლავს და გვაღელვებს ვლ. ალფენიძის „ფიქრიანი გზები".

წერის ლაკონური მანერისა და მაღალმხატვრულობის მეშვეობით ავტორი სურათის ფერადოვნებასა და სრულფასოვნებას ადვილად აღწევს.

„ბოლოთქმა — დასასრულია, მაგრამ ყოველი ბოლო ხომ რაღაცის თავია?

ყოველი დასასრული რაღაცის დასაწყისია, და მწამს, რომ ეს დასასრულიც რაღაც ახლის დასაწყისია", — ვკითხულობთ წიგნის ბოლო სტრიქონებს და გვჯერა, რომ „წინ ახალი ჰორიზონტებისაკენ ისწრაფვიან გზები", რომ დგას ჟურნალისტი სამოგზაუროდ კვერთხმომარჯვებული და „როგორც პირველ პაემანს, ისე ელოდება ახალ გზებსა და ახალ შეხვედრებს".

**დური შენგელია**

## მუზეუმამდე ელისოს დადიანის

ცნობილი რუსი მხატვარი საველი სორინი დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში. მან აქ ოთხი მშვენიერი პორტრეტი დახატა, მათ შორის ორი ულამაზესი ქალისა — ელისო დადიანის და მერი შერვაშიძისა.

უცხოეთში წასულმა მხატვარმა სხვა სურათებთან ერთად ეს ორი სურათიც თან წაიღო.

სორინის სურათები ამშვენებს მსოფლიოს მრავალ სამხატვრო მუზეუმს, მათ შორის ლუქსემბურგის გალერეასაც პარიზში (უდიდესი მოცეკვავის ანა პავლოვას პორტრეტი).

საველი სორინი 1953 წლის ნოემბერში გარდაიცვალა.

წელს მისმა მეუღლემ ანა სორინამ ქმრის ანდერძის თანახმად ეს სურათები საჩუქრად ჩამოუტანა სამშობლო-რუსეთს, ხოლო ელისო დადიანის პორტრეტი კი — ქართველ ხალხს.

ეს უკანასკნელი მან საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს.

ჩემს შეკითხვაზე თუ სად არის მერი შერვაშიძის პორტრეტი, ანა სორინამ განაცხადა, რომ ისიც მალე დაიკავებს თავის ადგილს საქართველოს ხელოვნების მუზეუმშიო.

**პაპუნა წერეთელი**

ს ა ვ ე ლ ი ს ო რ ი ნ ი
ელისო დადიანი



მხატვარი საველი სორინი — ელისო დადიანის პორტრეტი

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# თბილისის ოჯახები

ფოტო გ. კიკვაძისა და
ს. ედიშერაშვილისა







ამ სახლის ჭერქვეშ ცხოვრობს ვერიკო — ქართული სცენის მშვენება და სიამაყე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი — ვერიკო ანჯაფარიძე.

აქ ცხოვრობს საბჭოთა კინემატოგრაფიის გამოჩენილი ოსტატი — მიხეილ ჭიაურელი. ამ სახლში ცხოვრობს მშობელთა ტრადიციის ღირსეული განმგრძობი, პოპულარული მსახიობი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სოფიკო ჭიაურელი. აქ ცხოვრობს ქართული კინოხელოვნების ვარსკვლავების — ნიკოლოზ შენგელაიასა და ნატო ვაჩნაძის ვაჟი, ნიჭიერი კინორეჟისორი და მსახიობი — გიორგი შენგელაია. მაგრამ აბა ერთი სცადეთ და ეს ხალხი შინ მოიხელთეთ. იშვიათია ისეთი დღე, ისინი ასე ერთად თავმოყრილები (პირველი სურათი) რომ ნახოთ ამ ჭერქვეშ.

დედა, მამა, ქალიშვილი, სიძე—ყველა სახლიდან გაკრეფილა...

ვერიკო თავის საყვარელ თეატრშია...

ბატონი მიხეილი კინოსტუდიაშია.. მხცოვან კინორეჟისორს მრავალი გეგმა აქვს, დიდი სურვილი აქვს გადაიღოს ფილმი „კიკვიძე“, „ბესიკი“.

სოფიკო (მეორე სურათი) თელავშია გადაღებაზე. მოსკოვშია ყრილობაზე..

გიორგი საფრანგეთშია...

სოფიკო, გიორგი და „ვერის უბნის მელოდიები“ კვლავ გაემგზავრნენ საზღვარგარეთ — ამჯერად ესპანეთში. აქ, სან-სებასტიანეში, ოცდამეორე ტრადიციული საერთაშორისო კინოფესტივალი მიმდინარეობდა. ფესტივალზე საბჭოთა კავშირი წარმოდგენილ იყო რეჟისორ გიორგი შენგელაიას ფილმით „ვერის უბნის მელოდიები“. ამ ფილმმა როგორც ყველგან, აქაც სიხარული და სიამოვნება მიანიჭა მაყურებელს. ოპტიმიზმისა და სიკეთის დამკვიდრებისათვის „ვერის უბნის მელოდიებს“ კინოს საერთაშორისო კათოლიკური ორგანიზაციის სპეციალური პრემია მიენიჭა. მესამე სურათზე აღბეჭდილია მომენტი, როცა პატარა სანდრო (სოფიკოსა და გიორგის უმცროსი ვაჟიშვილი) პაპას „საცდელ“ ფოტოსურათს უღებს. მეოთხე სურათზე ცნობილი კინორეჟისორი ელდარ შენგელაია და მსახიობი არიადნა შენგელაია გახლავთ. ელდარი მეუღლითურთ ძმას სწვევია, რათა თავისი სიხარული გაუზიაროს. თბილისის ეკრანებზე უჩვენებენ ელდარ შენგელაიას ახალ მხატვრულ ფილმს „შერეკილებს“. ფილმი მოსწონთ. გიორგი ბედნიერია, ძმის გამარჯვება ხომ მისი გამარჯვებაც არის!

დიდია ჭიაურელების, ანჯაფარიძეების, შენგელაიებისა და ვაჩნაძეების ხელოვანთა შტო; დიდია მათი წვლილი ხელოვნებაში.

სოფიკოსა და გიორგის ორი ვაჟი ჰყავთ, ელდარსა და არიადნას — ორი ქალიშვილი. იქნებ ამ ოჯახების ტრადიცია მათაც განაგრძონ... იქნებ ხელოვანთა შტო მათაც ახარონ!..

●

ფოტომოთხრობა „ტრადიცია გრძელდება“... უკვე დასაბეჭდად იყო გამზადებული, როცა რედაქციამ სამწუხარო ამბავი შეიტყო: გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, გამოჩენილი საბჭოთა კინორეჟისორი მიხეილ ედიშერის-ძე ჭიაურელი. დიდია ის ღვაწლი და ამაგი, რომელიც მიხეილ ჭიაურელმა დასდო ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიას. მხცოვანი რეჟისორი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შრომობდა და იღწვოდა ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის აყვავებისათვის.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია, მისი ნიჭისა და დამსახურების ყველა პატივისმცემელთან ერთად, მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი მამულიშვილის დაკარგვის გამო.

ანტონ წულუკიძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუსიკოსი ხელოვანი

ორმოცდაათი წელი შეუსრულდა ოთარ თაქთაქიშვილს. მისი ცხოვრების ნახევარსაუკუნოვანი გზა და სრული შემოქმედებითი დავაჟკაცება აღინიშნა საბჭოთა ხელოვანისათვის უმაღლესი წოდებით — იგი გახდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი. გუშინდელ დღესავით მეხსიერებაშია ის შორეული ეპიზოდები, მაშინ რომ სენსაციად გამოჩნდა, შემდეგ კი წარუშლელად აღიბეჭდა მატიანეში, როგორც საქართველოს მუსიკალური ცხოვრების მამოძრავებელი მოვლენები.

... საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა და მძაფრდებოდა ავტორიტეტული პირების პაექრობა საბჭოთა საქართველოს ჰიმნის შექმნის თაობაზე. ჰიმნის შექმნის პროცესში მრავალი ქართველი კომპოზიტორი იყო ჩაბმული — თითქმის ყველა ისინი, ვინც ღირსეულად ქმნიდა და გეზს აძლევდა ეროვნულ მუსიკალურ ცხოვრებას.

ის იყო, უკეთესი ქმნილებების სამეულიც შეირჩა და ჰიმნის ბედიც თითქოს უნდა გადაწყვეტილიყო... მაგრამ კონკურსი ისევ გრძელდებოდა. საკვირველი აქ არც არაფერი იყო — საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი ხომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიღებულიყო და მასში სიდიადესთან, ეროვნული იერის ელვარებასთან ერთად წარმმართველი უნდა ყოფილიყო ის მკაფიო მელოდია, რომელსაც ხალხი მოსმენისთანავე აიტაცებდა და იმღერებდა. ბოლოს ასეთიც გამოჩნდა, რაოდენ სენსაციური იყო ის, რომ მისი ავტორი ფართო საზოგადოებრიობისათვის სრულიად უცნობი, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი ოთარ თაქთაქიშვილი აღმოჩნდა! სამიოდე წლის შემდეგ ჰიმნის ავტორი გამოჩნდა მუსიკის სხვა სფეროში — სამსჯავროზე გამოიტანა თავდაუზოგველი შრომის ნაყოფი — თავისი პირველი სიმფონია, ეს იყო 1949 წელი. სიმფონიამ სწრაფად მოიპოვა საკავშირო სარბიელი, სსრკ სახელმწიფო პრემია... ჭაბუკი კომპოზიტორის ამ თხზულებაში დიდ, ელვარე ნიჭიერებასთან ერთად ცხადად ჩანდა იმთავითვე მომწიფებული, უკომპრომისო პროფესიონალიზმი და დიდი ტექნიკური გაწაფულობა. იმედის თვალით შესცქეროდნენ მის ავტორს საბჭოთა მუსიკოსები საქართველოს გარეთაც. და ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორიც ზედიზედ ქმნიდა ბრწყინვალე სიმფონიურ ნაწარმოებებს და მორიგ აღიარებასაც იმკიდა. ერთ სახელმწიფო პრემიას მეორეც მოჰყვა — 1952 წელს, — იმ ბრწყინვალე საფორტეპიანო კონცერტისათვის, ესოდენ ფართო პოპულარობა რომ მოიპოვა მსმენელებშიც, შემსრულებლებშიც.

საბჭოეთის მრავალ ქალაქში გაისმოდა ეს კონცერტი, გატაცებით უკრავდნენ მას სახელმოხვეჭილი არტისტებიც, ახალბედა პიანისტებიც, მოსწავლე ახალგაზრდობაც. ბევრი რამ დაიწერა ამ კონცერტზე მთელ საბჭოთა კავშირში. დიახ, ეს გახლავთ მასშტაბიანი ნაწარმოები, კონცერტი-სიმფონია, რომლის დრამატული შინაარსი ეფექტურადაა შერწყმული ვირტუოზულ-პიანისტური სტილის ელვარებასთან.

შემდეგ — მეორე სიმფონია (1953 წ.), სიმფონიური პოემა „მწირი“... ო. თაქთაქიშვილი თავისი ელვარე ხმით, მკაფიოდ ჩამოყალიბებული თვალთახედვით შემოვიდა სიმფონიურ მუსიკაში. მისი გაწაფული ოსტატობა, ფართო ერუდიცია—ყოველივე ეს მიმართული იყო თანამედროვე სიმფონიური ხელოვნების მონაპოვართა ადვილად დაუფლებისკენ, ამასთან საკუთარი სიტყვის განმტკიცებისაკენ...

მაგრამ ოთარ თაქთაქიშვილმა მოულოდნელად გეზი იცვალა. მიაშურა დრამატულ თეატრს, დაეწაფა ქართულ პოეზიას. ეროვნული ქორალების სიღრმეებსა და ფილოსოფიურ საიდუმლოებას ეწაფებოდა იგი, როცა დრამატული სპექტაკლების მუსიკას წერდა, მაშინაც კი, თუ ეს იყო ბერძნული ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“ რუსთაველის თეატრში ან უფრო გვიან — „ანტიგონე“ კიევის ფრანკოს სახელობის უკრაინულ თეატრში. აქედან მჟღავნდებოდა მთელი სიცხადით ო. თაქთაქიშვილის მუსიკის ეროვნული ბუნების ინდივიდუალური ნიშნებიც, ამასთან ხალხური კულტურისა და ტრადიციებისადმი საკუთარი დამოკიდებულების მანერაც. ამ მანერაში კი ერთ ნიშანდობლივ ხერხს გამოვყოფ. ეს გახლავთ ხალხურ მუსიკასთან თავისებური გასაუბრება, დიალოგები ხალხურ მელოდიასა და კომპოზიტორის საკუთარ მელოდიებს შორის. ამგვარმა დიალოგებმა პრინციპული ხასიათი მიიღეს ო. თაქთაქიშვილის ქმნილებებში.

კომპოზიტორისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა მუსიკალური ძიებანი ქართული პოეზიის წიაღში. იგი დაჟინებით შეუდგა ეროვნული პოეტური სახეების მუსიკალურ განსხეულებას. თავიდანვე შეება ეროვნული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის შედევრებს და ამ დიდ გზაზე ქმნიდა სიმღერებსა თუ რომანსებს, სიმღერათა ციკლებს ჯერ ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის, შემდეგ— გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, ლადო ასათიანის ლექსებზე. თანდათან ღრმავდებოდა იგი ამ სამყაროში, თანდათან ამჟღავნებდა მათდამი საკუთარ „მუსიკალურ დამოკიდებულებას“. აქედან დაჟინებით დაადგა ეროვნული კულტურის ორი სფეროს—პოეტური შედევ-

რებისა და ხალხური მუსიკალური საუნჯის ფრიად თავისებური შეჯვარების გზას, რაც ამოსავალი გახდა მის შემოქმედებით ძიებებში.

ამ დიდ გზას დიდი ნაყოფიც მოჰყვა. პირველი ოპერა „მინდია“ იყო, რომელიც პირველად 1961 წელს დაიდგა. თავიდანვე მან მასობრივი წარმატება ჰპოვა, მან აღადგინა აუდიტორიასთან ახალი ქართული ოპერის ის კონტაქტი, რომელიც კარგა ხნით დაკარგული იყო ეროვნული კლასიკური ოპერის შემდეგ. „მინდია“ გავიდა საქართველოს გარეთ და ღირსეული ადგილი მოიპოვა ერევნის, მინსკის, ტარტუს, რიგის საოპერო თეატრების სცენებზე.

დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის დიდ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკების თეატრებმა მიმართეს ერთიმეორის ფონდს. საიუბილეო სპექტაკლების შეჯამებისას შთამაგონებლად დიდი აღმოჩნდა ქართულ ოპერის ადგილი. ზაქარია ფალიაშვილის კლასიკურ ოპერებს „აბესალომ და ეთერსა“ და „დაისს“ აქ მხარში ამოუდგა ქართველი საბჭოთა კომპოზიტორის ოპერები „მინდია“ და „სამი ცხოვრება“ (იგი დიდი წარმატებით დაიდგა მოსკოვში, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში). მთელი საბჭოეთის საოპერო თეატრების საიუბილეო სპექტაკლებზე პირველი ხარისხის შვიდი საკავშირო დიპლომი გაიცა და აქედან ხუთი — ქართულ ოპერას ერგო (ორი „აბესალომი და ეთერი“ — კიევსა და ლენინგრადში, „დაისი“ — სვერდლოვსკში, „მინდია“ — მინსკში, „სამი ცხოვრება“ — მოსკოვში).

ასევე პირველი ამოუდგა მხარში „მინდია“ დასავლეთ ევროპაში პირველად გასულ ქართულ ოპერა „დაისს“ (მკითხველისათვის ცნობილია, ორივე საარბრიუკენში დაიდგა). გერმანულ ენაზე მეორე ქართული ოპერა აჟღერდა. მე ბედნიერება მერგო დავსწრებოდი ქართული კულტურის ზეიმს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. საარბრიუკენში, „მინდიას“ დიდ წარმატებას, მოწმე ვიყავი მრავლისმნახველი გერმანელი მსმენელ-მაყურებლის მხურვალე რეაქციისა, პრესის აღტაცებული გამოძახილისა. ცოტას როდი მეტყველებენ დასავლეთგერმანულ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების დასათაურებანი: „მინდია“, როგორც დიდი მუსიკალური მოვლენა ზღაპრიდან, ფილოსოფიიდან და ფოლკლორიდან“, ანდა — „საოპერო სიხარული კავკასიიდან“...

ასეთივე მხურვალე რეაქციის დამსწრე ვიყავი, როდესაც ხუთი წლის წინ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ტრიუმფით გამართულ ქართული კულტურის დღეებზე, ქ. დრეზდენში გაიმართა ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტი მისივე დირიჟორობით. იქ გერმანულ ენაზე აჟღერდა ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“, ვეებერთელა მუსიკალური ტრადიციების ქალაქის მცხოვრებნი ღრმა მოკრძალებით, სულგანაბულნი უსმენდნენ ქართულ ორატორიას — ამ ღრმად თვითმყოფად, სულიერი კდემამოსილებით აღბეჭდილ მუსიკას.

მოსკოვს, ლენინგრადს, კიევსა თუ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში შთამაგონებელი წარმატება ერგო ო. თაქთაქიშვილის სხვა დიდ ქმნილებებსაც. მათ შორისაა მონუმენტური ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ფეიერვერკული კანტატა „გურული სიმღერები“, კომპოზიტორის მიერ საუცხოოდ დამუშავებული მეგრული სიმღერები...

ო. თაქთაქიშვილი დიდი ხანი ოცნებობდა გამოეძებნა მუსიკალურ-დრამატურგიული ფორმა ჩვენი დროის უდიდესი ეპოქალური ქართული რომანის — კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ ოპერაში განსახიერებისათვის. ეს ოპერაც ახლახანს დაამთავრა. აქაც წარმატება ვუსურვოთ მაღალნიჭიერ ხელოვანსა და სახიქადულო მამულიშვილს.

# მე საქართველოდან არ წავალ!

მცირე მოგონება

გერმანელები რომ მოსკოვს მიუახლოვდნენ, საბჭოთა კავშირის მთავრობამ ცნობილი რუსი მწერლები და ხელოვნების მოღვაწეები ხიფათს განარიდა და შორეულ ადგილებში გახიზნა. ერთი ნაწილი თბილისს გამოგზავნა. ეს იყო საბჭოთა მთავრობის დიდი ჰუმანური აქტი.

შალვაც ასე აფასებდა ამ აქტს. მაგრამ, როცა მტერი საქართველოს მოადგა, განწყობილება შეეცვალა. ასე მითხრა:

— მე მესმის, რომ კაჩალოვები და ვერესაევები იშვიათად იბადებიან, რომ საჭიროა გავუფრთხილდეთ მათ, შევუნარჩუნოთ ერს. მესმის ისიც, რომ ამ საქმეში მარტო ჰუმანურობა როდი სჩანს ჩვენი მთავრობისა, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესიც. ეს ყველაფერი გასაგებია. მაგრამ არის ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ადამიანური მოვალეობა თავისი ხალხისა და ქვეყნის წინაშე. არის თუ არა?

მე დავეთანხმე: არის-მეთქი.

— ჰოდა, — განაგრძო შალვამ, — არის ერის ცხოვრებაში ჟამი, როცა ეს მოვალეობა უნდა მოიხადო. აი, დადგა ეს ჟამიც. მტერი კარს მოგვადგა. ხვალ შეიძლება შინ შემოიჭრას. მაშინ რა ვქნათ მე და შენ?

— რასაც გვეტყვიან, — ვუპასუხე მე.

— არა! აქ თვითონ ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს. ჰოდა, მე გადავწყვიტე არსად წავიდე... მე საქართველოდან არ წავალ... დავხვდები მტერს საზღვარზე და შევაკლავ თავს... მართალია, არავითარი მებრძოლი მე არა ვარ, მაგრამ თუ ჩემს ქვეყანას ააოხრებენ, მის ავლა-დიდებას უცხოეთში გაიტაცებენ, ხალხის გასაჟლეტად სიკვდილის ბანაკებს მოაწყობენ, მე შორიდან ვუყურო ამ ტრაგედიას? ყაზახეთიდან?.. არა, მე არსად არ წავალ, მე აქ მოვკვდები ჩემს მიწა-წყალზე...

მომეწონა შალვას გადაწყვეტილება და დავეთანხმე. შალვამ განაგრძო:

— შენ არ იფიქრო, რომ გმირობაზე ვდებ თავს. არა!.. ეს ჩემი საქმე არაა. მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ჟამი, როცა საჭიროა არა ფიქრი სიცოცხლის შენარჩუნებაზე, არამედ ფიქრი თვით ამ სიცოცხლის საჭიროებაზე.

მე დარწმუნებული ვარ, რომ გერმანელ ფაშისტებს შალვა დადიანი საქართველოს საზღვარზე შეაკვდებოდა...

**როდიონ ქორქია**

# ვეფხვი მოსპობის გზაზეა

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მსოფლიოში განადგურდა ვეფხვების 90 პროცენტზე მეტი. ამ პროცესს არაფერი საერთო არა აქვს ბუნებრივ შერჩევასთან. ხაფანგი, ცეცხლმსროლელი იარაღი, შხამქიმიკატები — აი, რა არის ვეფხვების უმოწყალოდ განადგურების მიზეზი.

ადამიანი სდევნის და ანადგურებს მტაცებელ ცხოველებს. ამჟამად დედამიწაზე კატისნაირ ცხოველებიდან მხოლოდ 37 სახეობა დარჩა, მათ შორის 25 სახეობას მალე სრული მოსპობა მოელის. სრული განადგურება მოელის აგრეთვე ყველა გეპარდს, ჯიქს, ავაზას, იაგუარს, პუმას. შესაძლებელია უფრო დიდხანს გაძლოს გარეულმა კატამ, მაგრამ თუ დროზე არ მივიღეთ ზომები, საბოლოოდ იმათაც, ალბათ, განადგურება მოელით.

მსოფლიოში დღეისათვის დარჩენილია მხოლოდ ორი ათასამდე ვეფხვი. საბედნიეროდ, მსოფლიოს 93 ზოოპარკში უკანასკნელ წლებში დაიბადა 394 ვეფხვის ლეკვი. კარგ საქმეს აკეთებენ ზოოპარკები, სადაც არა მარტო იცავენ, არამედ ამრავლებენ კიდეც იშვიათ გარეულ ცხოველებს. მაგრამ განა შეიძლება შენარჩუნებულად ჩავთვალოთ ისეთი ცხოველები, რომლებიც ტყეებსა და ველებში მოისპო და მხოლოდ ზოოპარკებში ცხოვრობენ?!

ამერიკული ჟურნალის „საინს დაიჯესტის“ ცნობით, დღეისათვის არსებული 35 ათასი ამერიკული ბიზონი ზოოპარკებში შემორჩენილი ერთეულებიდან გამრავლდა, ჰავაის ღერღეტიც სრული გადაშენების გზაზე იყო დამდგარი და მხოლოდ ნაკრძალებში მოამრავლეს.

ბუნებაში არსებული ვეფხვების რაოდენობა

| ვეფხვის სახეობა | რაოდენობა |
|---|---|
| ბენგალის (ინდოეთის) ვეფხვი | 1827 ვეფხვი |
| თურქესტანის ვეფხვი | დაახლოებით 125 ეგზემპლარი |
| ამურის ვეფხვი | დაახლოებით 175 ეგზემპლარი |
| იავის ვეფხვი | 10 ან 12 ეგზემპლარი |
| ჩინური ვეფხვი | რაოდენობა დადგენილი არ არის |
| ბალის (ინდონეზია) ვეფხვი | გვხვდება ძალზე იშვიათად, შესაძლებელია მთლიანად მოისპო. |

**„დროშის“ № 10-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი**

**ჰორიზონტალურად:** 2. მატჩი. 4. ბერი. 5. ლოდი. 7. სტენდი. 8. ამპერი. 11. ენგელსი. 12. ეტლი. 13. ანრი. 18. სვია. 19. ია. 20. სი. 21. ლალა. 25. მიმღეობა. 26. ნავსი. 28. რუმინეთი. 29. იხვი. 31. სასა. 33. რიწა. 35. სია. 36. სიო. 37. ქილა. 39. იზაბელა. 41. ანანასი. 42. თოხი. 43. ზავი. 44. არმია.

**ვერტიკალურად:** 1. ატმოსფერო. 2. მილი. 3. ილია. 4. ბრეხტი. 6. იბერია. 9. „გრემი“. 10. ტაიგა. 14. ტალანტი. 15. ტიან-შანი. 16. ბილიარდი. 17. ანარქია. 18. სტილი. 22. ასთმა. 23. ნოე. 24. ომი. 27. ვენა. 30. ვერძი. 32. ალამი. 34. ალბათ. 37. ქანჩი. 38. ტატამი. 40. არია. 41. არზა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერდია ბერიაშვილი

# ლექსს— თანამებრძოლს

I

მე ამ დღეს ვარქმევ სიცოცხლის ზიარს,
თვალში სხვა ცეცხლი კვესავს.
— სმენა!
— სწორდი!
— წინ, სულ წინ, იარ!
ვბრძანებლობ გულს და...
ვბრძანებლობ ლექსსაც.
ეს გაზაფხული სხვაგვარ ამხედრდა!
შეხეთ,
ხნულიდან მოდის.
მის შესახვედრად,
მის შესახვედრად
გულო და ლექსო, —
სწორდით!
ეს გაზაფხული მზის ღიმილია
ყანის,
კაცის თუ
ვაზის.
მასში ერთიან ჩაქსოვილია
ძალა ნათელი აზრის.
გული სიტყვებით დანაღმულია,
სიტყვა ვაზნაა ოდეს
სიტყვა — მიზანში!
სიტყვა — მიზანში!
სიტყვაც მიზანში მოხვდეს!
სიტყვავ! —
სწორედ დღეს თუ არ ივარგე,
გათავდა, —
ორნივ შევრცხვით.
ხალხის გულები, — იცოდე კარგად,
უნდა აღაგზნო ცეცხლით.
რად მინდა შენი კენარი ტანი,
თუ ჰგავხარ ამ ცივ ლითონს,
თუ ხალხის გულთან არ მიიტანე
პოეტის გულის სითბო.
შენ მაშინ გასვლა არ გელის ხალხში,
მე მელის ჯავრით ჯვარცმა,
ლექსად შობილი, თუ ლექსად დარჩი,
თუ არ იქეცი კაცად!

II

პოეტიცა და ლექსიც, —
შენთვის და შენთვის, ხალხო,
პოეტიცა და ლექსიც —
შენს გვერდით უნდა ნახო,
პოეტიცა და ლექსიც
იქ უნდა დაასახლო,
სადაც ისხვლება ვაზი,
ან გაგაქვს შენი ახო.
პოეტიცა და ლექსიც, —
მინდორში უნდა ნახო,
ენგურზე უნდა ნახო,
უნდა აგებდეს კაშხალს,
რა ბედენაა აბა,
მხოლოდ ტაში და ვაშა!
ლექსმაც გაშალოს ფრთები,
აბა ამას ვინ უშლის?
მე მინდა ჩემს ლექსს ეცვას
სპეცტანსაცმელი მუშის!
შრომის სიხარულს მკიდეს,
ისე აგებდეს კაშხალს,
დე, დაიღალოს კიდეც,
როგორც სჩვევია მაშვრალს.
ზოგმა მგოსანმა, თუნდა
შემხედოს ცერად, ქუშად,
ლექსი მებრძოლი გვინდა,
გუთნისდედა და მუშა.

III

ახლა ენგურზე მოველ,
ნაცნობი ხმები მესმის
ჰა, ნაცნობებთან ერთად
აქ დამხვდა ჩემი ლექსიც.
ზეიმზე მოდიოდა,
კლდეზე მცოცავთა გვერდით
აი, ის ლექსი, ძმებო, —
გუშინ თრთოლვით რომ ვწერდი.
და როგორც თანამებრძოლს,
ისე იკრავდნენ გულში,
იდგა მუშების გვერდით, —
სპეცტანსაცმელით მუშის!

IV

ზეიმია დიდი კომუნისტურ შრომის,
ენგური და მშვიდი?!
თან სალტეებს შორის?!
შეჩვეული ტალღის ხმაურს,
მთის სიჩუმეს მარადს,
მოდიოდა,
მოდიოდა ოდით მთად და ბარად.
ახლა წევს და თვალით ზომავს
წინ გასავლელ სივრცეს.
იცის ახლა რაც არი და
ხვალ რად უნდა იქცეს.
იცის,
იცის ვინც დაუდო არტახებში ბინა,
ვინც მოთოკა,
ვინც მუხლებში ცეცხლი გაუჩინა

V

ხმა ცინცხალი,
ხმა ცოცხალი,
რა ხალხია, უნდა ნახო,
მკერდში უნდა გქონდეს რვალი,
რომ თქვა რამე საამხალხო.
გულს აღვმართავ მაღლა დროშად,
გულს კოცონად ავინთებო,
ოღონდ კი ვთქვა საამხალხო,
საამდღეო,
საამწუთებო.

VI

თვალში ცეცხლი ვის უკრთის,
მკერდში უდგას მზე ვის?
რაღაც სულ სხვა მადლი აქვს,
შრომის შემდეგ ზეიმს.
ვინ შეძლებდა ამგვარად
მხრების გაშლას, ფრენას...
მხოლოდ რწმენას შეეძლო,
კომუნისტურ რწმენას.
რა ახლოა, ხომ ხედავ,
გამარჯვება სრული,
ამას გული შესძლებდა, —
კომუნისტის გული.
ჩვენ ეს ხალხი გვამაღლებს,
ჩვენ ეს ხალხი გვიხსნის.
მათ ძარღვებში მღელვარებს
კომუნისტის სისხლი.
იფანტება ბინდი
მთებს და ენგურს შორის,
ზეიმია დიდი, —
კომუნისტურ შრომის.
აქ კეთდება საქმე,
საგმირო და ძნელი,
ამ დაძარღვულ ხელით —
კომუნისტის ხელით!
შენც აშენო უნდა,
უნდა ხნა და თესო.
— სმენა!
— სმენა!
— სმენა!
— წინ,
— წინ იარ, ლექსო!



# ქართული ჩაის ღირსებისათვის

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა სარეკორდო მაჩვენებლებით დაამთავრეს მიმდინარე სამეურნეო წელი — მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 312.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას.

მეჩაიეთა მიერ მოკრეფილი პირველი ხარისხის ნედლეული, ცხადია, უხარისხო პროდუქციად შეიძლება გადაიქცეს თუ მას დროულად, სათანადო ტექნოლოგიის დაცვითა და მაღალხარისხოვნად არ გადაამუშავებენ.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ჩაის გადამმუშავებელ ფაბრიკებს. მათ მოქნილ მუშაობაზე, ახალი მეთოდებისა და ტექნიკური პროგრესის დანერგვაზე ბევრად არის დამოკიდებული საქვეყნოდ ცნობილი ქართული ჩაის სახელის აღდგენა-დამკვიდრება.

ხელვაჩაურის რაიონის გონიოს ჩაის ფაბრიკის კოლექტივი თავდადებით იბრძვის პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ფაბრიკამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული წელი. 100 ტონა ჩაის ნაცვლად სამშობლოს მისცა 120 ტონა ჩაი და რაიონის გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა.

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლები აქვს ფაბრიკას. საკმარისია ითქვას, რომ წელს, თბილისში ჩატარებულ სადეგუსტაციო შემოწმებაზე გონიოს ჩაის ფაბრიკის პროდუქციას ერთხმად მიეკუთვნა პირველი ადგილი.

ამას წინათ გონიოელები კიდევ ერთი სიახლის წამომწყებად მოგვევლინენ. მოძველებული, მცირე ტევადობის ჩაის ამრევი დოლის ნაცვლად აქ დაიდგა ახალი დოლი, რომელმაც ერთიორად გაზარდა წარმადობა. ახალი კონსტრუქციის ამრევმა დოლმა დიდი მოგება მისცა ფაბრიკას: დაიზოგა დრო, შემცირდა მუშახელის მოცდენა, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩაის შერევის ხარისხი.

ახალი, გამარტივებული კონსტრუქციის შემრევი დოლი ქართველმა სპეციალისტებმა დაამზადეს. მისი პროექტი შეადგინეს თბილისის მანქანათა მრეწველობის საკონსტრუქტორო ბიუროში. ავტორები არიან: დ. კეკენაძე, ა. სახეჩიძე, ნ. ჩარელიძე. დოლი დამზადდა ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში, კონსტრუქტორ ა. გორაძის ხელმძღვანელობით.

ეს სიახლე უმთავრესად ქართული ჩაის ხარისხის გასაუმჯობესებლად არის გამიზნული. ჩვენი მეჩაიეები, ჩაის წარმოების მუშაკები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, მათი მიზანია, რომ ქართული ჩაი ერთ-ერთი ყველაზე საამო, სურნელოვანი და პირველხარისხოვანი იყოს მსოფლიოში.

ჯემალ ფელიძე

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# ბუნების ქარი

## პატრიარქი ხეები

ძალზე მრავალფეროვანია საქართველოს ფლორა. მან შემოგვინახა ბევრი უნიკალური მცენარე, რომელსაც მრავალი საუკუნის ისტორია აქვს და მნახველის გაოცებას იწვევს. მკითხველს გვინდა ვესაუბროთ რამდენიმე ასეთ იშვიათ ეგზემპლარზე.

თელავში, ნადიკვარის გორაზე ამაყად გაუშლია მხრები გიგანტურ ჭადარს. მისი სიმაღლე 23 მეტრია, ხოლო შტამბის დიამეტრი სამ-ნახევარ მეტრს აღემატება. ღრმად მოხუცები ახლაც სიამოვნებით იგონებენ 1911 წელს, როცა საქართველოს ამ შესანიშნავი კუთხის მიწაზე ფეხი დაადგა სახიქადულო მგოსანმა აკაკი წერეთელმა. თელავის საზოგადოებრიობამ სწორედ ამ ჭადრის ქვეშ მოუწყო გულთბილი შეხვედრა პოეტს. აკაკიმ წარმოთქვა ღრმად პატრიოტული სიტყვა, შესვა თავისი ქვეყნისა და ხალხის სადღეგრძელო. ჭადრის ქვეშ იმართებოდა მაისობები. ამ ჭადრის ქვეშ დიდი ზეიმი მოეწყო 1921 წლის თებერვალში, როცა დაემხო მენშევიკური რეჟიმი.

წარსულის უტყვი მატიანეა მესამეული ხანის რელიქტი — ძელქვა, რომლის ტოტებს თერჯოლის რაიონის სოფელ ეწერში მცხოვრები იმხნელის მთელი ეზო მოუცავს. იგი ცხრა საუკუნეს არის მიღწეული. ბუმბერაზი ხე ათსართულიანი სახლის სიმაღლისაა. მისი ტანის გარშემოწერილობა ოთხ მეტრამდეა.

ბევრი ავ-კარგის მომსწრეა ხუთასწლოვანი კაკლის ხე, რომელიც სოფელ მარტყოფში მცხოვრებ ბეჟანიშვილის ეზოში დგას და სიბერისაგან მხრები შემოძარცვია.

სამ საუკუნეზე მეტია ამბროლაურის რაიონში ამაყად არხევს ტოტებს ცაცხვის ხე. მისი სიმაღლე ოცდაათ მეტრზე მეტია. ამ ხის ქვეშ ხშირად იმართებოდა სხვადასხვა დღესასწაულები.

ჯადოსნური სილამაზისაა ყვარელში ბურსის ხეობის ეგრეთ წოდებული „კოხტა რცხილა". ამ მრავალსაუკუნოვანი ხის ვარჯის პროექცია 625 მეტრია. ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით ამ ხის ქვეშ დრო გაუტარებიათ ილია ჭავჭავაძეს, კოტე მარჯანიშვილს, მაკო საფაროვა-აბაშიძეს, ექვთიმე თაყაიშვილს, გიორგი ლეონიძესა და სხვა გამოჩენილ ადამიანებს.

პატრიარქი ხეები გვხვდება არა მარტო ცალკეული ეგზემპლარების, არამედ კორომების სახითაც. მესამე ათასწლეულის რელიქტი — უთხოვარი მსოფლიოში მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი, თანაც ერთეული ძირების სახით. ახმეტაში, ბაწარას ხეობაში კი მას 205 ჰექტარი უჭირავს. ამ მხრივ იგი უნიკალურია მსოფლიოში. აქ არის უთხოვარის ბევრი ხე, რომელთა ასაკი თვრამეტ საუკუნეს აღემატება.

ქალაქ ონთან ახლოს, სოფელ მოედანთან არის შვიდსაუკუნოვანი მუხნარი. მისი ცამდე აწვდილი რტოები ბუნების განუმეორებელი სილამაზეა. ახმეტის რაიონში — ბაბანეურის ხეობაში, იმერეთში — აჯამეთსა და ჩხარში გვხვდება ძელქვის უძველესი ხეები. ბევრი პატრიარქი ხეა აღრიცხული აგრეთვე ლაგოდეხის ნაკრძალში, რესპუბლიკის სხვა რაიონების ტყეებსა და ველმინდვრებში.

დავით ბიწაძე

### შერლოკ ჰოლმსი ცოცხალია!

გამოჩენილი გამომძიებლის ნახვა შეიძლება, კონან დოილის მიერ მრავალგზის აღწერილი მისი სამუშაო კაბინეტის მოწყობილობაც ადგილზეა. მრგვალ მაგიდაზე დევს ჭიქა ჩაით, იქვეა ჟურნალ „გრეფიკის" ნომერი, რომლის თარიღია 1892 წლის 23 ივლისი. სავარძელში თავის ჩვეულებრივ პოზაში ზის შერლოკ ჰოლმსის სანთლის ფიგურა.

ასეთი სახლ-მუზეუმი დააარსა საზოგადოება „შერლოკ ჰოლმსმა", რომელიც გენიალური მაძებრის ხუთასამდე თაყვანისმცემელს აერთიანებს.

აქ, მისამართზე—„ლონდონი, ბეიკერ-სტრიტი, 221-ბ", ყოველდღე უამრავი წერილი მოდის. ზოგიერთ წერილში დახმარებას სთხოვენ შერლოკ ჰოლმსს, ზოგიერთ მათგანში მოთხრობილია ამოუცნობ დანაშაულზე, სხვადასხვა საიდუმლოებებზე, რომლებიც შერლოკ ჰოლმსმა უნდა გამოიძიოს.

შერლოკ ჰოლმსის „მდივანი" მის ლესლი უაიტსონი ყოველი წერილის ავტორს დაუყოვნებლივ უგზავნის პასუხს.



### კართაგენის ფლოტის ნარჩენები

ექსპედიციის ხელმძღვანელმა ინგლისელმა სწავლულმა ჰონერ ფროსტმა სენსაციური განცხადება გააკეთა: კუნძულ სიცილიის დასავლეთ სანაპიროსთან, ქალაქ მარსალის მახლობლად ექსპედიციამ აღმოაჩინა ძველი კართაგენის სახელგანთქმული ფლოტის ნარჩენები.

წყლიდან ამოღებული ფლოტის ნარჩენები ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნით თარიღდება.

ბრიტანეთის ექსპედიცია თვლის, რომ კართაგენის ფლოტის ნარჩენები იმიტომ შემოინახა კარგად, რომ ისინი წყალქვეშა მდინარებამ ქვიშის თხელი ფენით დაფარა და მრავალი საუკუნე ახე გამოატარა.

### მავთულიანი ტელეხედვა

პატარა ქვეყნებში ტელემაყურებლები ხშირად უჩივიან უხარისხო გამოსახულებას. ზოგჯერ ეკრანზე ერთდროულად სხვადასხვა არხების რამდენიმე გამოსახულება ჩანს.

საუკეთესო გამოსახულების მისაღებად ბელგიაში დაიწყეს მავთულიანი ტელეგადაცემის სისტემის დამუშავება. ლიეჟში მალე დამთავრდება პირველი კაბელიანი ტელეცენტრის დამონტაჟება, რომელიც 380.000 წერტს მოემსახურება.





ოცდაათი წლის ფრედ მაგუაირმა მსოფლიოში პირველმა შესცურა ოკეანეში... აბაზანით, რომელიც აღჭურვილი იყო ექვსი ცხენის ძალის ძრავით.

პირველი „მოგზაურობა" ფრედ მაგუაირმა რამდენიმე წლის წინ მოაწყო: აბაზანით 150 მილი გასცურა. ამჯერად კი მან კუნძულ ვანკუვერის გარშემო 1000-მდე მილი დაფარა.

კალკუტელმა ლეურარი მოხან ადიტიმ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა... ფრჩხილების გაზრდაში.

რეკორდსმენის მარცხენა ხელის თითებზე წამოზრდილი ფრჩხილების საერთო სიგრძე 139 სანტიმეტრია. ყველაზე გრძელი ფრჩხილი 30 სანტიმეტრამდეა გაზრდილი.



ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას წინათ გაიმართა მეორე მსოფლიო კონკურსი... ჭიანჭველების ყლაპვაში.

ჩემპიონი გახდა ვინმე გარი მოსი, რომელმაც 236 ჭიანჭველა გადაყლაპა. რეკორდის დამყარებისთანავე მოსმა მუცლის არეში საშინელი ტკივილი იგრძნო და ექიმთან გააქანეს.



იაპონიის ზოგიერთი ქალაქის ქუჩებში მოძრაობას არეგულირებენ... რობოტები, რომლებიც დინჯად, ზუსტად და მოხდენილად ასრულებენ თავიანთ საქმეს.

შოფრები კმაყოფილნი არიან: რობოტებს არ შეუძლიათ ჯარიმა გადაახდევინონ მათ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყეს მსოფლიოში უდიდესი ტანკერის „ბრუკლინის" მშენებლობა.

გიგანტური ტანკერის სიგრძე 328 მეტრი იქნება, მთავარი აგრეგატის სიმძლავრე 55 ათას ცხენის ძალას მიაღწევს.

სპეციალისტებმა დაამუშავეს მთელი რიგი ეფექტური ღონისძიებანი, რათა „ბრუკლინმა" თავიდან აიცილოს საჩაოსნო ზღვების დაბინძურება.





თელავის ჭადარი.



### ქუჩის მტვერსასრუტი

ფრანგმა სპეციალისტებმა შექმნეს ორიგინალური მოწყობილობა, რომელსაც „ქუჩის მტვერსასრუტი" შეარქვეს. ამ მოწყობილობის დანიშნულება, როგორც სახელწოდებაც მიგვანიშნებს, ქუჩების დამტვერიანებული ჰაერის გაწმენდაა.

„ქუჩის მტვერსასრუტები" უკვე დადგეს პარიზის ყველაზე ხალხმრავალ ქუჩებში. თითოეული მათგანი წელიწადში 100 მილიონ კუბურ მეტრ ჰაერს ასუფთავებს.

### სამი წლის მანძილზე

... მთვრალმა ჯარისკაცებმა ტანკი გაიტაცეს და რამდენიმე საათის განმავლობაში დააქროლებდნენ ქალაქის ქუჩებში.

... მთვრალმა ჯარისკაცებმა ქუჩაში გამვლელებს ყაზარმიდან ესროლეს... კარადა.

... მთვრალმა ჯარისკაცებმა დაარბიეს ლუდის დარბაზი და მძიმედ დაჭრეს ხუთი ადამიანი.

მსგავსი მაგალითების მოყვანა უამრავი შეიძლება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არმიაში სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს იღებს ლოთობა.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე უზომო სიმთვრალის მიზეზით დაიღუპა და მძიმედ დაიჭრა 25 სამხედრო პირი, 161 კაცი ავტოავარიის მსხვერპლი გახდა. რეგისტრირებულია 750 შემთხვევა, როცა ხელქვეითებმა უარი თქვეს ბრძანების შესრულებაზე, ანდა მოაწყეს ოფიცრებზე თავდასხმა...

გადამდგარი იაპონელი ადმირალი ტიოიტი ვანამი ამას წინათ მარტოდმარტო ავიდა ფუძიამას მწვერვალზე და თავისებური მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ყოფილი ადმირალი ყველაზე ხანდაზმულია იმ სპორტსმენებს შორის, რომლებმაც ფუძიამა დაიპყრეს: იგი 91 წლისაა.

ასეთი შემთხვევა იშვიათად ხდება ბუნებაში.

ფოტორეპორტიორმა ფირზე აღბეჭდა მომენტი, როცა ჩიტმა საკვები მოუტანა... თევზს.

ჩრდილოეთ არიზონის ერთ-ერთ მდინარეში ჩიტი კარდინალი რამდენიმე ხნის განმავლობაში სისტემატურად ეზიდებოდა საკვებს ოქროს თევზისათვის.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ჩიტმა, რალაც შემთხვევის გამო, ბარტყები დაჰკარგა და დედური ინსტინქტი მთლიანად ოქროს თევზზე გადაიტანა.







ერთ კაცს ჩვეულებად ჰქონდა, ვინც უნდა შეხვედროდა, უეჭველად ფულს ესესხებოდა. ეს კაცი ერთხელ შეხვდა თავის ნაცნობს ქუჩაში და ფული თხოვა.

— თუ ღმერთი გწამს, ერთი თუმანი მასესხეო.

— უკაცრავად, ჩემო ბატონო, არ შემიძლიან, რადგან ჯიბეში ხუთი მანეთის მეტი არა მაქვს.

— არა უშავს-რა, ბოდიშს ნუ იხდით, ჯერ ეგ ხუთი მანეთი მომეცით და დანარჩენი ხუთი მანეთი თქვენზე დარჩეს.

ერთს, ჯერ კიდევ მხიარულსა და ჰარმაგს მოხუცებულსა ჰკითხეს, ცოლს რატომ არ ირთავთო.

— იმიტომ, რომ ბებერი ქალი ძალიან მეჯავრება.

— ახალგაზრდა შეირთეთო.

— კარგი, მაგრამ თუ მე, მოხუცს ბებერი ქალი მეჯავრება, როგორღა უნდა დავიჯერო, რომ ახალგაზრდა ქალს მოხუცი შეუყვარდება?!

როდესაც საფრანგეთში უკანასკნელი არეულობა იყო, ერთმა კაცმა თავის ცოლს ასეთი წერილი მისწერა: ადვილად მიხვდები ჩემს მდგომარეობას, ჩემო სულიკო, მარტო იმითაც, რომ წარმოიდგინე, ახლაც კი, ამ წუთს, როდესაც ამ წერილს ვწერ, მარჯვენა ხელში ხმალი მიჭირავს და მარცხენაში დამბაჩა.

ქალი — ბატონო მხატვარო, შეიძლება ჩემი სურათი ისე კარგად დახატოთ, რომ ძლიერ მგავდეს?

მხატვარი — იმედი მაქვს, ქალბატონო, მე სამხატვრო წამლებს იმავე მაღაზიაში ვყიდულობ, სადაც თქვენ ფერუმარილსა.

ერთმა სამოცი წლის კაცმა ყვავი იყიდა და შინ მიჰყავდა. გზაზე ნაცნობი შემოხვდა და ჰკითხა, რად გინდა ეგ ყვავიო? მინდა ვნახო, მართლა სამას წელს ცხოვრობს ეგ ფრინველი, როგორც ამბობენ, თუ ტყუილიაო.

ერთმა კაცმა თავის მეგობარს თხოვა: გეთაყვა წადი ჩემ მოვალესთან და უთხარი, ჩემი ფული მომცესო. მეგობარი წავიდა, მოვალე ძლიერ მკაცრად დაუხვდა, ფულის მაგივრად რამდენიმე სილა უთავაზა და ისე გამოისტუმრა. მოვიდა და თავის მეგობარს ეს ამბავი შესჩივლა. მერე შენც ხომ არ ჩამორჩი და კარგები უთავაზეო, ჰკითხა მეგობარმა. რას ამბობო, უპასუხა, — ხელიც არ მიხლია, სულელი ხომ არა ვარ სხვის საქმეში ჩავერიო.

ერთ მდიდარ კაცს მუსიკის ძლიერ დიდ მცოდნედ მიაჩნდა თავისი თავი. ერთხელ კონცერტზე იყო. კვარტეტი უკრავდა. როცა დაასრულეს, კომპოზიტორი მივიდა ამ მდიდარ კაცთან და ჰკითხა: როგორ მოგეწონათ ეს მუსიკა? — კარგი იყო, მაგრამ სამწუხაროდ ძლიერ ცოტანი არიან, სულ ოთხი კაცი უკრავდაო.

# კაკალ გულში



— ყოველ დღე რატომ მატარებ ცირკში?

— ამ ილუზიონისტმა იქნებ „ქიგულის“ საბურავებიც ამოყაროს!

ნახ. დ. ერისთავისა



მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე...
და ჩავარდა „მცველებს“ შორის.

ნახ. თ. ჩაჩავასი.



უსიტყვოდ

ნახ. ა. ერაძისა



— რა მიიღე, ორიანი თუ ხუთიანი?

ნახ. ვ. კუციასი,



უსიტყვოდ

ნახ. დ. ერისთავისა

... მოსკოვი, 1962 წლის 17 ოქტომბერი, გაჩირაღდნებულ დარბაზში უამრავ ხალხს მოუყრია თავი. ელისაბედ ბიკოვა უახლოვდება ნონას და გამარჯვებას ულოცავს.

დაფნის გვირგვინით შემკობილი ოცდაერთი წლის დედოფალი აღელვებული ჩანს, მაგრამ მის ლიმმორეულ სახეზე მაინც შეამჩნევთ ოლიმპიურ სიმშვიდეს, ფოლადისებურ ნებისყოფას, დაუშრეტელ ენერგიას. ჭეშმარიტი მოჭადრაკის ეს სამი ღირსება ყოველთვის თან სდევს ნონას, თუნდაც ვარჯიშის დროს.

1. აი ახლაც, მორიგი პარტიის გარჩევისას, მწვრთნელი — დიდოსტატი აივარ გიპსლისი ნონას არწმუნებს, რომ პარტია ყაიმით უნდა დამთავრდეს. არავითარი ყაიმი! არის გამოსავალი, — როგორც ყოველთვის, ამბობს ნონა.

2. სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ა. კონსტანტინოპოლსკი გულისყურით ადევნებს თვალს ნონას ყოველ პარტიას, სჯერა „დედოფლის ხელწერის“, მაგრამ ახლა ისიც დარწმუნებულია, რომ აქ ყაიმი გარდუვალია. ნონა უდრეკი ხასიათის მოჭადრაკეა, მას არ უყვარს ერთხელ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა, თუ, რასაკვირველია, ეს სწორად მიაჩნია.

3. მწვრთნელის გაოცებას საზღვარი არა აქვს... ნონა გამართლდა. პარტია მოგებულია, როგორც ყოველთვის, ახლაც, გამარჯვების შემდეგ, ნონა განსაკუთრებულ გუნებაზეა.

4. პარტიის ნონასებურმა გადაწყვეტამ ა. კონსტანტინოპოლსკი ჩააფიქრა, მაქს ეივეს სიტყვები გაახსენა: „მე პირადად ვერ ვხედავ ნონას მეტოქეს მსოფლიოში“. ნონა ჭეშმარიტად უდავო ლიდერია ქალთა ჭადრაკისა, მრავლისმეტყველია მისი ეს რთული პარტია, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მაინც ის არის, რომ ლეგენდარული ვერა მენჩიკის მსგავსად იგი წარმატებით გამოდის ვაჟთა შეჯიბრებებშიც, რომელთა დროს უკანასკნელი ადგილი არასოდეს დაუკავებია.

5. „ვისაც წილად ხვდა მხრებით ატაროს მაღალი ხელოვნების „მსუბუქი ტვირთი“, არასოდეს მიეცემა თვითკმაყოფილებას“. ფოტოზე აღბეჭდილი ნონას ჩაფიქრებული სახე გვარწმუნებს ჰენრიხ ნეიჰაუზის სიტყვების ჭეშმარიტებაში. რთული პარტიის გარჩევის შემდეგ ნონას ფიქრი და საუბარი ისევ და ისევ ახალ საჭადრაკო პარტიებს დასტრიალებს.

ეს პატარა ეპიზოდი ნონას ყოველდღიური ცხოვრებიდან გვაფიქრებინებს, რომ ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი არც ამჯერად ჩამოვა საჭადრაკო ტახტიდან. საინტერესოა, ვინ იქნება მისი პრეტენდენტი, თვრამეტი წლის ირინა ლევიტინა თუ თანამემამულე ნანა ალექსანდრია?...

მაგრამ როგორც რუბცოვა ფიქრობს (და განა მარტო რუბცოვა): „გაფრინდაშვილს დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერავინ წაართმევს გვირგვინს“. თუ ცამეტი წლის მანძილზე მენჩიკის „მმართველობა“ არ იყო მაინცდამაინც ხანგრძლივი, ახლა ყველა სპეციალისტი კარგა ხნით ელის ნონას მტკიცე და დღეგრძელ „დედოფლობას“.

არავითარი ყაიმი!

ნუნუ გელაძე

გარეკანის პირველ გვერდზე: ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა. მოწინავე ფოლადის ჩამომსხმელი ომარ მამაიაშვილი. ფოტო თარხან არჩვაძისა. მეორე გვერდზე: საოქტომბრო პლაკატი. მხატვარი თენგიზ სამსონაძე.

გადაეცა ასაწყობად 9/X-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XI წ., ქაღალდის ზომა 70×108¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 58.000. შეკვ. № 3664 უე 01933 ფასი 30 კაპ

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66,
პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.





# არავითარი ყაიმი!

ფოტო ალ. სააკოვისა









რთველი

ფოტო თ. არჩვაძისა

индекс 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა